საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 მაისი, 2007 წელი.

№ 88 (5689)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, ხოგორიც ბოლდვეული სიტყვაა, ცეცხლებით და ჯოხებით ბუნების გაფანა ყველა უკანონობაზე უსაძაგლესია.

ილია ჭავჭავაძე

გამარჯვების დღეს

გილოცავთ, ვეტერანებო!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

◎ უპირველესად იყო სიტყვა... 3

ობოლი, უნათესავო ერი ვართ

◎ ეს ჩვენი ისტორიაა 4



ლვთით ბოძებული ეფლების ხელყოფა

РОСБАЛТ 10

დემოკრატია ქართულად

◎ ისტორიის პარადოქსები

ასე იბრძოლეს, ასე გაიმარჯვეს...

1945 წლის მაისი. მოსკოვი

თითებზე ჩამოსათვლელნილა დარჩნენ, ასე აფასებენ... 2007 წლის მაისი. თბილისი

საგელმწიფო

● კიდევ ერთი ქართული უბედურება ისაა, რომ, კონსტიტუციაში შესული ცვლილებებით, იქიდან პრეზიდენტის არჩევნების უფლებამოსილების ნორმაა ამოგდებული — ამომრჩეველთა უმრავლესობა გამოცხადდესო, მასში აღარ არის ჩაწერილი და ისეთი მექანიზმი შეიმუშავეს, სამი ადამიანიც რომ მივიდეს საარჩევნო ყუთთან და ხმა მისცეს პრეზიდენტს, მას აირჩევენ

◎ „ქართული აკადემია“

ერთი ფრაქციის პარლამენტი გვყავს

კიდევ ერთი ქართული უბედურება

„ქართული აკადემიის“ წევრმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ მელქაძემ გამართა პრესკონფერენცია თემაზე „ქართული აკადემიის“ თვალთახედვა ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემების შესახებ“.

მან გააანალიზა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს შეტანილი ცვლილება-დამატებების სამართლებრივი ბუნება, პარლამენტული ცვლილებები საარჩევნო კანონმდელობაში, რის შედეგადაც, კონსტიტუციურად აღიარებულია და დაფუძნებულია სახელმწიფოს ერთპარტიული მმართველობა.

ოთარ მელქაძის თქმით, სწორედ ეს იქცა იმ პოლიტიკური რეჟიმის გაბატონების წინაპირობად, რომელიც მოსახლეობის კანონიერ აღშფოთებას იწვევს.

— ჩემი „ახირება“ 2004 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებს არ უკავშირდება, 1995 წლის კონსტიტუცია მიუღებელია საქართველოს კონსტიტუციური მოწყობისთვის. ის არ უნდა მიგველო. ამ კონსტიტუციისთვის ხმა არ მიმიცია, თუმცა, გამოქვეყნების შემდეგ ხელი მოვაწერე, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ.

ბატონი ოთარის აზრით, 1995 წლის კონსტიტუცია ამერიკული იყო, 2001 წელს, შევარდნაძის დროს, მას რუსული თავისებურებანი შემატეს. 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებები სწორედ 2001 წლის პროექტის კალკი იყო.

ასე, რომ ამ ორი მოდელის — ამერიკულისა და შერეულის მიხედვით, საქართველო ერთადერთ ქვეყნად იქცა, ვისაც საპრეზიდენტო თუ შერეული მმართველობის დროსაც სუპერპრეზიდენტი ჰყავს.

ოთარ მელქაძის თქმით, 2004 წლის ცვლილებებით თანამდებობრივი შეთავსების შემოღებით — პრეზიდენტი პარტიის ლიდერიც გახდა, შესაბამისად, მთელი მთავრობა მისი თანაპარტიელია. „კონსტიტუციურ სამართალში არის დეფინიციები. მაგალითად, პარლამენტის ფრაქცია არ არის პარლამენტის სტრუქტურა. იგი პარლამენტში მოხვედრილი პარტიების იდეოლოგიური პლატფორმის ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფია. საქართველოში კი ყველაფერი პირიქითაა — ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ პარლამენტის ფრაქციები კი არა, ფრაქციის პარლამენტი გვყავს. ყველა საკითხი წყდება ფრაქციის სხდომაზე, მერე მიაქვთ კანცელარიაში და იქ განიხილავენ. ასეც ამბობენ — თბილისის საკრებულო პრეზიდენტის ფრაქცია არისო“, — თქვა ბატონმა ოთარმა.

მისი დასკვნით, ერთპარტიულობის ტენდენცია ხელისუფლების საყოველთაო ცენტრალიზაციის ტენდენციაა. მან ყურადღება გაამახვილა ერთი პარტიის მიერ ხელისუფლების უზურპაციაზე, აღნიშნა, რომ მზადდება ახალი კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ზედამხედველობას ინსტიტუტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ზედამხედველობას შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებული განახორციელებს. სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტს კი კონსტიტუცია არ ცნობს. მაშ, ადგილობრივი თვითმმართველობა მიბმულია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რაც კონსტიტუციონალიზმის დოქტრინალური იდეის საწინააღმდეგოა.

„თვითმმართველობაც პირდაპირი დანიშნულებით პრეზიდენტის მორჩილი ხდება“, — განაცხადა ოთარ მელქაძემ.

მისი აზრით, ერთპარტიულობის განმტკიცებას ემსახურება პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთდროული არჩევნებიც, აგრეთვე, პროპორციული არჩევნებისას 7-პროცენტიანი ბარიერის დატოვება. თუმცა, ევროსაბჭომ არაერთხელ გაგვაფრთხილა, ამ ბარიერის 3 პროცენტამდე შემცირების თაობაზე.

„ახლა ახალი რამ მოიგონეს. ბევრ ქვეყანაში, პროცენტს ოპოზიციური პარტიების რაოდენობის მიხედვით, ანგარიშობენ. მაგალითად, უნგრეთში 2 ოპოზიციური პარტიისთვის 10-პროცენტიანი ბარიერია, ხოლო სამისთვის — 12-პროცენტიანი. თუ ჩვენთანაც იგივე გამეორდება, ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ასეთ ბარიერს ვერ გადალახავს“, — თქვა მელქაძემ.

მისი აზრით, საქართველოში კადრების დეფიციტია, რაც მოქალაქეთა კავშირსაც კი არ ჰქონდა. თუ უწინ კადრებს პარტიული სკოლები ამზადებდნენ, დღეს ეს ფუნქცია „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აქვს. „ყველა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ვინც წვლილი შეიტანა არჩევნებში გამარჯვებაში, თანამდებობებზეა... ასეთები არიან: ჭიაბერაშვილი, გოროზია, ქიტოშვილი, ქავთარაძე“, აღნიშნა მან.

ოთარ მელქაძის თქმით, „ქართული აკადემია“ საარჩევნო სამართლის თემის წამოწევასაც აპირებს. კიდევ ერთი ქართული უბედურება ისაა, რომ, კონსტიტუციაში შესული ცვლილებებით, იქიდან პრეზიდენტის არჩევნების უფლებამოსილების ნორმაა ამოგდებული — ამომრჩეველთა უმრავლესობა გამოცხადდესო, მასში აღარ არის ჩაწერილი და ისეთი მექანიზმი შეიმუშავეს, სამი ადამიანიც რომ მივიდეს საარჩევნო ყუთთან და ხმა მისცეს პრეზიდენტს, მას აირჩევენ.

ოთარ მელქაძის თქმით, ამ საკითხების გამო, საზოგადოების გამოთხიზლება არის საჭირო. „ქართული აკადემია“ ქართული თვითმყოფადობისა და ცნობიერების აკადემიაა. მოსახლეობა უნდა გათვითცნობიერდეს, რომ ცნობიერება ჩვენი წარსული და ისტორია კი არ არის, არამედ ჩვენი ადგილია მსოფლიო სისტემაში, ჩვენი მყოფადობისა და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობისთვის.

თამარ შაიშმელაშვილი

◎ ინფორმაცია

საჭიროა მწვავე რეაგირება

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერის დავით გამყრელიძის აზრით, ზურაბ ტყემალაძესა და თამაზ ყაჭეიშვილთან დაკავშირებულ ინციდენტს სახელისუფლო წრეებისგან რეაგირება აუცილებლად უნდა მოჰყვეს.

როგორც დავით გამყრელიძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, შემაშფოთებელია, როდესაც მსგავსი რამ შეემთხვევა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და, განსაკუთრებით, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე დეპუტატს.

— ლევან პირველის ინფორმაციით, ვენაში მომხდარ ინციდენტში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა ჩარეული. ეს დაუზუსტებელი ინფორმაციაა და, თუ ის მართლაც დადასტურდა, ამაზე მწვავე რეაგირება გვექნება, — აღნიშნა გამყრელიძემ.

ამასთან, დეპუტატის აზრით, მომხდართან დაკავშირებით რეაგირება უნდა მოახდინოს როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, ისე საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ავსტრიელ კოლეგებს საპროტესტო ნოტით მიმართოს.

ლევან პირველის განცხადებით, მან ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღო ოფიციალური წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მისი შვილების ნათლობის დღეს განხორციელებული სპეცოპერაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაგეგმა. მისივე ინფორმაციით, ავსტრიელი სამართალდამცავები ქართველ სტუმრებს შორის აჭარის ყოფილ ლიდერს ასლან აბაშიძეს ეძებდნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ შსს-ს მასთან კავშირი არ აქვს და კოლეგებისთვის არანაირი ინფორმაცია არ მიუციათ.

გამყრელიძე ინტერფრაქციულ ჯგუფს დატოვებს

ამის შესახებ გამყრელიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა და მიზეზად საკუთრების დაცვის შესახებ კანონპროექტის შინაარსი დაასახელა.

კერძოდ, მისთვის მიუღებელია ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ამნისტია არ შეეხება იმ საკუთრებას, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოება ან სასამართლო დავა მიმდინარეობს.

დეპუტატის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კანონპროექტში ამ ჩანაწერის შესახებ, მრავალი ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო.

კერძოდ, მამარჯვენეების ლიდერმა დაასახელა დედაქალაქის ვიცე-მერის მამუკა ახვლედიანის განცხადება, რომლის მიხედვითაც, თბილისის მთელ რიგ ქუჩებზე არსებულ საკუთრებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმეების წარმოება იწყება.

გამყრელიძის თქმით, მან მიიღო ინფორმაცია ქუთაისიდანაც, სადაც ერთ დღეში პროკურატურამ 12 საქმეზე დაიწყო გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

◎ ასე სლოკინ-სლოკინ?!

ხელისუფლება ბიუჯეტს თავის ჯიბისკენ უბერავს სულს

რით იზომება ყოველი სახელმწიფოს ჰუმანურობა?

გლდან-ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელებმა და „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის წევრებმა, 9 მაისის აღსანიშნავად, თბილისის მოხუცებულთა თავშესაფარს ჭურჭელი უფეშქაშეს. საქართველოს „წითელი ჯვრის ასოციაციამ“ კი, ისან-სამგორის გამგეობის მხარდაჭერით, „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო დღის გამო, მიუსაფარი მოხუცებისთვის საქველმოქმედო აქცია გამართა.

რაღა თქმა უნდა, ერთიც კარგია და მეორეც. მოხუცებს, ბავშვებივით, უპირველესად, სითბო, ყურადღება სურთ. მაგრამ ეს სითბო და ყურადღება მხოლოდ რაიმე დღესასწაულის თანმდევი კი არ უნდა იყოს, არამედ სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის საგანი. სწორედ სახელმწიფოს ვალია, ნაჯაფ, ომგადატანილ ხალხს, ამქვეყნად ორიოდ პარასკევი რომ დარჩენია, ტკბილი სიბერე აჩუქოს. სახელმწიფო იმდენად არის დავალებული მათგან, რომ სწორედ „სულს უნდა უბრავდეს“, მაგრამ ასეთ განუკითხაობასა და უზომოდ გაძვირებულ ცხოვრებაში ბევრ მოხუცებულს შიმშილით ამოხადა სული.

1945 წელს რომ გაეწვიათ ომში 18 წლის ჭაბუკი, ახლა ის 80 წლისა იქნებოდა. ანუ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთაგან ყველაზე უმცროსები უკვე 80 წლისანი მოყრილან. ან ეს „უმცროსები“, ანდა მათზე უფროსები რამდენი უნდა შემოგვრჩენოდნენ, ისეთს რას ზარალობდა ბიუჯეტი მათთვის დაწესებული ისედაც ლამის სიმბოლური შეღავათებით, რომ ერთი ხელის დაკვრით გაუუქმეს? ხელისუფლება და მთავრობა ამ გათითოებულ მოხუცებს კი არ უბერავს სულს, არამედ — ბიუჯეტს. თანაც, თავის ჯიბეებისკენ. არადა ეს ოხერი ბიუჯეტიც ხომ ჩვენი გადასახადებით ივსება? მერედა, გვკითხონ, დავუჭერდით ამ შეღავათებს ვეტერანებს თუ არა!

ყოველი სახელმწიფოს ჰუმანურობა ხეიბრებთან, ბავშვებთან, მოხუცებთან მისი დამოკიდებულებით იზომება. ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ სამთა მიმართ იმდენად „განუზომელია“, რომ ვერარა საზომს ვერ მოარგებ. ეს ერთჯერადი, ვიმეორებ, რაიმე დღესასწაულის თანმდევი ე. წ. ჰუმანური აქციები („წითელი ჯვარს“ არას ვერჩით, მას თავისი პროგრამა აქვს), ერთჯერადად კი ალბათ გაახალისებს მოხუცებს, მაგრამ მერე უფრო მწარედ ჩააფიქრებს თავის მიუსაფრობასა და მიგდებულობაზე. ასეა მოწყობილი ადამიანის ფსიქიკა.

უფლისმიერად, სხეული სულის ჭურჭელი, მისი სამყოფელია. გლდან-ნაძალადევის გამგეობამ და ამ რაიონის „ნაციონალური მოძრაობელებმაც“ სწორედ ჭურჭელი აჩუქეს მოხუცთა თავშესაფარს და, რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი ქვეყანას მოსდეს. ღმერთმა ქნას, ეს ჭურჭელი სულის სამყოფელი ჭურჭლის სიჯანსაღეს წაადგეს, ანუ გემრიელი, ყუათიანი, ასაკის გათვალისწინებით შერჩეულ-დამზადებული კერძებით იყოს ხოლმე სავსე. თუმცა, ამისა არა მჯერა...

კოტე სარალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა

● მიზანი გამართლდა, ქართული სულისა და ბუნების გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩვენმა მწერლობამ სძლია, — ჯერ რუსული შოვინიზმის მომსპობელ მემკვიდრეობას და შემდეგ ახალი რუსი იმპერისტების მიერ დასავლეთში ნასესხები კომუნისტურ-ბოლშევიკური იდეოლოგიის სამკვდრო შემოტევას

◎ უპირველესად იყო სიტყვა...

ობოლი, უნათესავო ერი ვართ

და ძველებრ ურყევად დგომა გვმართებს

ამიერიდან აღდგება თითქმის საუკუნის წინათ დაარსებული ტრადიცია და ყოველ 7 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირი დაბადების დღეს, ქართული მწერლობის ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს.

გუშინწინ, სწორედ 7 მაისს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული შთამბეჭდავი საღამო იმის დასტური გახლდათ, რომ 90 წლის წინათ საფუძველჩაყრილ ქართველ მწერალთა კავშირს წელიწადში ერთხელ, დიახაც, ხელეწიფება მსგავსი დღესასწაულების მოწყობა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, დღევანდელ თაობას, ეროვნული ღირებულებების არმცოდნე, კომპიუტერს მიჯაჭვულ ახალგაზრდობას სჭირდება... განა შეიძლება იმის დავიწყება, რომ „ივერიის მცირედზე მცირე, პატარა ერი, მარად ყოველმხრივ შემორტყმული უამრავი მტერით, მაინც გადარჩა და გადარჩა ის როგორც ერი, აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება" — (გალაკტიონი „საუბარი ლირიკის შესახებ").

საიუბილეო საღამოს პროექტის ავტორი და წამყვანი თვით დღევანდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი იყო. ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მსახიობები, ლექსით თუ სიტყვით, სიმღერით თუ პანტომიმით დამაჯერებლად, გულწრფელად ამბობდნენ იმას, რაც გვტკივა და ასე გვაფორიაქებს...

...სანამ ცოცხლობს და ვითარდება ქართული მწერლობა, ცოცხლობს და ვითარდება ქართველთა სულიერება, — კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილა თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯიბმა.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი მკითხველიც ინტერესით გაეცნობა საიუბილეო საღამოს მონაწილეებისადმი გაგზავნილ მის წერილს:

პატივცემულნო! ბოდიშს გიხდით, რომ თავად ვერ გეახელით და პირადად ვერ მოგახსენეთ ჩემი მცირე რამ სათქმელი. ასე სცოდნია ღრმა სიბერეს.

ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა ჩვენს კავშირს და ამის გამო უპირველესად ის უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონ კოტე მაყაშვილს, ბატონ პავლე ინგოროყვას და მთელ მათ დასს კავშირის დაარსების საჭიროება იმის განჭვრეტამ უკარნახა, რომ ქართველ ერს ახლო, თუ შედარებით შორეულ მომავალში, არაერთგზის თავს დამტყდარ ჭირთან მოუხდებოდა ბრძოლა ოფლისა და სისხლის ფასად ჩვენი სულიერების შენარჩუნებისთვის და ამას კი ერთგულ-ერთსული მწერლობა ესაჭიროებოდა.

მიზანი გამართლდა, ქართული სულისა და ბუნების გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩვენმა მწერლობამ სძლია, — ჯერ რუსული შოვინიზმის მომსპობელ მემკვიდრეობას და შემდეგ ახალი რუსი იმპერისტების მიერ დასავლეთში ნასესხები კომუნისტურ-ბოლშევიკური იდეოლოგიის სამკვდრო შემოტევას.

ვერც ველიკორუსულმა და ვერც კომუნისტურმა იდეოლოგიამ ვერ იმუშავა ისე ნაყოფიერად, როგორც დიდი ილიას „ქვათა ღაღადმა", აკაკი წერეთლის „განთიადმა", მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებმა", გრიგოლ რობაქიძისა და ტიციანის ათასგზის ამოგლეჯილმა გულმა, დიდი კონსტანტინეს პროზამ, გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის პოეზიამ, პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიამ და მათმა თანამედროვე და მომდევნო თაობების მწერალთა ნალვაწმა. ყოველივე ეს სწორედ ქართველი მწერლების კავშირის ჭერქვეშ გახმიანებულა. კავშირისა, რომელსაც უხეირო ქართველები ბოლშევიზმის გადმონაშთს უწოდებენ. პირადად მე განმეორებით მივემხრობოდი ისეთ კავშირს, რომელიც ზემოხსენებულ სულიერებას დაუტოვებდა ქართველ ერსა და მსოფლიო კულტურას.

ნება მიბოძეთ, ულრმესი მადლობა მოგახსენოთ თქვენც, დამსწრე მწერალნო და ხელოვანნო, იმ ღვაწლისთვის, თქვენ რომ უკვე დასდეთ და კვლავაც არ მოაკლებთ მამულს. გწამდეთ, მომავალი მოგაგებთ კუთვნილ პატივს.

მითქვამს და ვიმეორებ, — ობოლი, უნათესავო, შარიან მიწაწყალზე მოსახლე ერი ვართ და ძველებრ მკვიდრად და ურყევლად დგომა გვმართებს ახლაც, მორიგ სამკვდრო-სასიცოცხლო კვეთებაში. წარსულის მტერთაგან განსხვავებით საქმე გვაქვს ძლიერ და დაუნდობელ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც გულახდილად და საქვეყნოდ აქვს დეკლარირებული მცირე ერების თანდათანობითი აღგვა პირისაგან მიწისა, მსოფლიო კაპიტალისა და ეკონომიკურად დაწინაურებული ერების ინტერესთა უზრუნველსაყოფად. ეს სოროს-ბჟეზინსკისა და სხვათა გლობალიზმის იდეოლოგიაა. ქართულ მწერლობას სახელდობრ იმიტომ შემოუტიეს გლობალიზმის ქართველმა მიმდევრებმა, რომ იციან, სანამ ცოცხლობს და ვითარდება ქართული მწერლობა, ცოცხლობს და ვითარდება ქართველთა სულიერება.

ფხიზლად ვიყოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაპატიოთ ერთმანეთს თუ რამ ცოდვა მიგვიძღვის. მოვიშოროთ ამპარტავნება, შევისმინოთ ჩვენი დიდი მოძღვრის, უწმინდესისა და უნეტარესის შეგონებანი, გავერთიანდეთ სიყვარულით და ბურჯად შევუდგეთ ჩვენი მამულის მომავალს.

ჟამიერ, ქართველნო!

ჭაბუა ამირეჯიბი
07.05.2007 წ.

◎ კანონმდებლები

ლევან ჭოლაძის დანიშვნა ბეჟუაშვილის გუნდს გააძლიერებსო

მთავრობის კაცი — კონტროლის პალატის თავმჯდომარედ

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან ჭოლაძის კანდიდატურა დასახელდა. იგი ნინო ბურჯანაძემ წარადგინა. მან განაცხადა, რომ ეს კანდიდატურა მისთვისაც და პრეზიდენტისთვისაც მისაღებია, თუმცა, პარლამენტში უკვე ლაპარაკობენ, ჭოლაძე ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა არ არის და ამ დანიშვნით ბეჟუაშვილის გუნდი ძლიერდებაო.

ნინო ბურჯანაძეს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე, თითქოს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის თემურ მურღულიას წარდგენა სურდა. კულუარებში პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურასაც ასახელებდნენ. თავის მხრივ, ოპოზიცია აცხადებდა, რომ ვაკანტურ პოსტზე ოპოზიციის კანდიდატურა უფრო უპრიანი იქნებაო. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციის კანდიდატურა დემოკრატიული ფრონტის წევრი ბიძინა გუჯაბიძე იქნებოდა. თავად გუჯაბიძე ამ ინფორმაციას არ ადასტურებდა, მაგრამ იმას კი ამბობდა, ოპოზიციის წარმომადგენელი ამ უწყების მართვას ბევრად უფრო ეფექტურად აამუშავებსო.

მმართველი პარტიის დეპუტატების ნაწილი ამ საკითხზე მოლაპარაკებებს დასაშვებად მიიჩნევდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ოპოზიცია ჯერ თავად ჩამოყალიბდებოდა და ამის შემდეგ დაიწყებდა უმრავლესობასთან მოლაპარაკებას. სავარაუდოდ, ოპოზიციამ ვერც ამ საკითხზე შეძლო ერთიანი აზრის ჩამოყალიბება. ან — ვერ მოასწრო. ყოველ შემთხვევაში, მათ ოფიციალური წინადადებით უმრავლესობის წარმომადგენელი კოლეგებისთვის, არ მიუმართავთ. ალბათ, ვერ მოიცალეს. შეგახსენებთ, კონსერვატორები კონტროლის პალატას სასამართლოში უჩიოდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ კონტროლის პალატას არ ჰქონდა უფლება ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში ჩატარებული რევიზიის შედეგებისთვის გრიფი „საიდუმლო" დაედო. კონსერვატორების ინფორმაციით, ქალაქის კეთილმოწყობისთვის გამოყოფილი 229 მილიონი ლარი, არამიზნობრივად გაიხარჯა. მათი თქმით, კონტროლის პალატას შესაბამისი დოკუმენტები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კონსერვატორებისთვის მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცა.

ოპოზიციის წევრები აცხადებენ, რომ პირადად ჭოლაძის მიმართ პრეტენზიები არა აქვთ,

მაგრამ ეჭვობენ, რომ იგი კონტროლის პალატის დამოუკიდებელ რგოლად გადაქცევას ვერ შეძლებს. მათი თქმით, ის კონტროლის პალატაში მთავრობის წარმომადგენელი იქნება და შესაბამისად, მთავრობის ინტერესებს გაატარებსო.

სანამ ლევან ჭოლაძის კანდიდატურას პარლამენტი განიხილავდეს, მანამდე ის ფრაქციების წარმომადგენლებს უნდა შეხვდეს და თავისი პროგრამა გააცნოს.

ჭოლაძემ განაცხადა, რომ კონტროლის პალატაში ბევრი რეფორმაა გასატარებელი: „დარწმუნებული ვარ, შეუძლებელი არაფერია და ყველაფერი ქვეყნის საკეთილდღეოდ გაკეთდება", — აღნიშნა მან. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ლევან ჭოლაძე თავისი მოვალეობის შესრულებას ღირსეულად შეძლებს.

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახდა ცნობილი. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პარასკევს საქართველოს პარლამენტი დიმიტრი სანაკოევს მოუსმენს, აღნიშნა, რომ ეს თავად სანაკოევმა მოისურვა. ამ ინფორმაციას უმრავლესობაცა და ოპოზიციაც მოწონებით შეხვდა.

მზია გელენავა

◎ ბუზღუნა ბერიკაცი

ურწმუნო თომა არა, მაგრამ ურწმუნო თომაზი ვარ...

„ამ დროს ველოდი, მოვესწარ", როცა... აღარავისა და აღარაფრისა არა მჯერა, არც ვისი და არც რისი აღარა მწამს. დიახ, მოვიყარე ამ ხნისაც...

ჩვენს საკეთილდღეოდ კი არა, ძალაუფლებისათვის ატეხილნო, პირველ რიგში კი საპარლამენტო ოპოზიციის გასაგონად: ნუ დაგავიწყდებათ ხოლმე უმრავლესობასთან ცხარე პაექრობისას, რომ ხელისუფალ დეპუტატებთან ერთი ჯაჭვით ხართ გადაბმული — დიდი ხელფასებითა და სხვა არაერთი სიკეთით. ერთხელ მაინც თუ წამოსცდენია რომელიმე თქვენგანს — რას ჩავდივართ, ამ დაქცეულ, გალატაკებულ, გამათხოვრებულ ქვეყანაში რატომ დაგვინიშნავს მაღალი გასამრჯელო და შემდგომ მომატებაზეც არ ვამბობთ უარსო!

რა, ხელისუფლებაში თუ მოხვალთ, იმით დაიწყებთ, რომ ამხელა ანაზღაურებითი განსხვავების წინააღმდეგ აღიმაღლებთ ხმას? ახლობელ-ნათესავებს თანამდებობებზე არ წამოასკუპებთ? მრავალავტომობილიანი კორტეჟებით, ქუჩების გადაკეტვით არ იქროლებთ? საცოდავი ქვეყნის შიგნითა და გარეთ არ იგრიალებთ? სტრასბურგში წამდაუწუმ არ ირბენთ? შვილიკოებს „უცხოეთებში" სასწავლებლად ან თბილ ადგილებზე სამუშაოდ არ გაუშვებთ? რამდენიმე „ჩემის თვრამეტიანს" თვრამეტათასიან ხელფასს მოუხსნით? „ბრენდი" პენსიების კატეგორიას გააუქმებთ? პატარა შვილიშვილებს თითო კოცნაში ას-ას დოლარს არ აჩუქებთ, მოოქროვილ ბუხართან მიმჯდარი ტელეკამერის წინ არ გაიჩითებით? გაუთავებელ ლენტიჭრიებად არ გადაიქცევით? სიმართლის მთქმელთ უბოდიშოდ, უტაქტოდ, ენაშეუკავებლად არ „ჩარეცხავთ", „არამზადებად", „ნაძირლებად", „გარეწრებად" არ მოიხსენიებთ? „ეროვნულ გმირებს" დაუმსახურებლად არ მოამრავლებთ? თუ გესმით, კიდევ რამდენი შეკითხვის დასმა შეიძლება?...

არცროდის, არცოდეს ჩვენ არ გვეყოლება ქვეყანაზე, ხალხზე, მოსახლეობაზე მზრუნველი მთავრობა თუ ხელისუფლება — ყველა ხელისუფალი მხოლოდ თავისკენ მიითლის. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ჩვენში არ ყოფილა არავითარი ეროვნული-მოძრაობა — ყოველგვარი მოძრაობა ძალაუფლებისათვის, ხელისუფლებაში მოსვლისათვის მოძრაობაა და სხვა არაფერი. ასეა ეს!..

ბრძენი კაცისგან რაც
ნათქვამია —
ორ სიტყვასაც კი ასის
ფასი აქვს:
„ძალაუფლება
საწამლავია!"
... წამლავს კიდევაც
კაცის ხასიათს...

თამაზ ეგანოძე

სულიერება

ანტონ I ჭკვიანი, განათლებული და მებრძოლი ადამიანი იყო. თუ იგი პოლიტიკაში ჩაერეოდა, ერეკლე II-ს შეიძლებოდა დიდი სირთულეები შექმნოდა. ამიტომ ერეკლე II-მ გადაწყვიტა ანტონ I-ის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქად ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი აღარ აერჩიათ



◎ ეს ჩვენი ისტორიაა

საქართველოს** სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების შეზღუდვას რუსეთის საიმპერატორო კარი **გეორგიევსკის ტრაქტატის** (1783 წ.) მომზადების პერიოდში შეუდგა. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ორი საპატრიარქო არსებობდა: **მცხეთისა** (აღმოსავლეთ საქართველოსი) და **აფხაზეთისა** (დასავლეთ საქართველოსი). **მცხეთის საპატრიარქო ტახტის** იურისდიქციაში შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი და სხვ.), კათალიკოს-პატრიარქი იყო **ანტონ I ბაგრატიონი** (1744-1755; 1764-1788). **აფხაზეთის** (დასავლეთ საქართველოს) **საპატრიარქო ტახტის** იურისდიქციაში შედიოდა იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები, კათალიკოს-პატრიარქი იყო **მაქსიმე II აბაშიძე** (1776-1795). მეფეებთან, ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან, ერთად რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობაში კათოლიკოს-პატრიარქები **ანტონ I** და **მაქსიმე II** მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

დვთით ბოძებული უფლების ხელყოფა

რუსეთი და საქართველოს ეკლესია (1771-1814 წწ).

1771 წლის 30 დეკემბერს თბილისში ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დასადები **ხელშეკრულების პროექტს.** პროექტში ჩამოყალიბებული იყო ის პირობები, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ხელშეკრულების პროექტი პეტერბურგში ჩაიტანა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობამ ბატონიშვილ **ლევანისა** და კათოლიკოს-პატრიარქ **ანტონ I-ის** ხელმძღვანელობით. ერეკლე II იმპერატორ ეკატერინე II-ს სთხოვდა ქართლ-კახეთში მეფობის **„საუკუნოდ უცვალებლად“** შენარჩუნებას. ხელშეკრულების პროექტში საგანგებო ადგილი ეთმობოდა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების შენარჩუნების აუცილებლობას: **„მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.“** ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი პეტერბურგში ასე თარგმნეს: „Каталикос оставаться имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены“. ე.ი. რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლე II-ის სათხოვარი სწორად გაიგო.

1772 წლის 6 იანვარს, ე.ი. ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო სახლმა დაამტკიცა რუსეთის საიმპერატორო კარისათვის გასაგზავნი **პირობის** ტექსტი. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის უზენაესობის აღიარებაზე არასოდეს აიღებდა ხელს. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: **ერეკლე II,** დედოფალი **დარეჯანი,** კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I,** ბატონიშვილები: **გიორგი, ლევანი, იულონი, ვახტანგი.** ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა (1776 წ. 5 იანვარი) ხელშეკრულების პროექტთან (1770 წ. 30 დეკემბერი) ერთად წარედგინა რუსეთის იმპერატორს.

ქართლ-კახეთის სამეფოსთან ხელშეკრულების დადება რუსეთის საიმპერატორო კარმა დიდხანს გააჭიანურა. საბოლოოდ ეკატერინე II-მ გადაწყვიტა ხელშეკრულება ერთდროულად დაედო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან. იმპერატორის აზრი ხელშეკრულების თაობაზე ვიცე-კანცლერმა, გრაფმა **ა. ა. ბეზბოროდკომ** აცნობა კავკასიის ხაზის უფროსს, თავად **გ.ა. პოტიომკინს.** ეს დოკუმენტი 1782 წლის ბოლოს ან 1783 წლის დამდეგსაა შედგენილი. ეკატერინე II გრიგოლ პოტიომკინს უბრძანებდა: ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან დასადებ ხელშეკრულებაში მეფეები მოეხსენებინათ არა **„ქვეშევრდომებად“** არამედ **„მოკავშირეებად“.** ეკლესიის საკითხს ეკატერინე II არ შეეხებია. სამაგიეროდ, თავისი აზრი, ცხადია, იმპერატორთან შეთანხმებით, გამოთქვა ა. ა. ბეზბოროდკომ: „и чтобы более сей народ привязать к России, то бы весьма полезно иерархию их привязать к нашему Синоду, а знатнейщим фамилиям дать право Российскаго дворянства; архиепископа же каталикоса _ то ему соборнаго, поставить степенем в Россиской церкви между первыми“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ა. ა. ბეზბოროდკო უგულებელყოფდა ერეკლე II-ის მიერ 1770 წლის 30 დეკემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას — კათოლიკოს-პატრიარქის უფლების უცვლელად შენარჩუნების თაობაზე. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) შესაბამის მუხლს (არტიკულს) სწორედ ა. ა. ბეზბოროდკოს მოსაზრება დაედო საფუძვლად.

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ქ. გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის მერვე მუხლი (არტიკული) აშკარად ლახავდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებებს. მცხეთის საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ხდებოდა რუსეთის იმპერიის უწმიდესი სინოდის წევრი და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებდა მერვე ადგილს — ტობოლკის ეპისკოპოსის შემდეგ: **„და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათოლიკოზსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელთ-მთავართასა მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა.“** რუსულ დედანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „и народам его и для вящаго соединения с Россиею сих единоверных народов ея императорское величество соизволяет, чтоб каталикос, или начальствующий архиепископ их, состоял местом в числе российских архиереев восьмой степени, именно после тобольского“.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მომენტისათვის (1783 წ.) რუსეთში პატრიარქობა გაუქმებული იყო, აღარ იწვევდნენ საეკლესიო კრებებს. რუსეთის ეკლესიას განაგებდა **უწმიდესი სინოდი.** უწმიდესი სინოდი წარმოადგენდა სახელმწიფო (საერო) ხელისუფლებას დაქვემდებარებულ **სასულიერო უწყებას.** სინოდის წევრები იყვნენ მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მაგრამ სინოდს სათავეში ედგა საერო პირი — **ობერ-პროკურორი.** უწმიდესი სინოდის ყველა დადგენილებას (გადაწყვეტილებას) სინოდის ობერ-პროკურორის წარდგინებით ამტკიცებდა იმპერატორი. უწმიდესი სინოდის წევრთაგან ვერც ერთი რანგითა და ღირსებით ვერ უტოლდებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელს — კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს. მიუხედავად ამისა, კათოლიკოს-პატრიარქის ღირსება შეილახა და იგი გაუთანაბრეს რუსეთის ეკლესიის ეპარქიების მმართველ იერარქებს (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს). უფრო მეტიც, სინოდში ანტონ I-ზე მეტი პატივით სარგებლობდა შვიდი იერარქი.

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის საეკლესიო მმართველობისა და უწმიდეს სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მომხდარიყო. ამ ხასიათის შეთანხმება შემდეგში აღარ დადებულა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ (1783 წ.) პეტერბურგში გაემგზავრა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა **გარსევან ჭავჭავაძის** ხელმძღვანელობით. ელჩობაში შედიოდა ერეკლე II-ის ვაჟი ბერი **ანტონი** (ერისკაცობაში თეიმურაზი), იეროდიაკონის ხარისხით. 1784 წელს ერეკლე II-ის თხოვნით, იეროდიაკონი ანტონი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ ხელდასხმული იქნა **არქიეპისკოპოსად** და **ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად.** ცერემონიალი ჩატარდა ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში ეკატერინე II-ისა და სამეფო ოჯახის წევრების თანდასწრებით. ანტონის რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ არქიეპისკოპოსად (მთავარეპისკოპოსად) კურთხევა არ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო სამართალსა და ტრადიციას. თუმცა ამისათვის ერეკლე II-ის თხოვნა საკმარისი არ იყო. ამ შემთხვევაში უწმიდესი სინოდისათვის თხოვნით უნდა მიემართა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს. რაც შეეხება ანტონის ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმას, რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მხრიდან მეორე სახელმწიფოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) ავტოკეფალური ეკლესიის საქმეში უხეშ ჩარევად უნდა მივიჩნიოთ.

ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ისა და საეკლესიო კრების პრეროგატივას შეადგენდა. გარდა ამისა, ანტონის არქიეპისკოპოსად ხელდასხმა მოხდა ისე, რომ იგი მანამდე ხელდასხმული არ ყოფილა მღვდლად. ანტონი არქიეპისკოპოსად ხელდასხმის დროს (1784 წ.) ოცდაორი წლისა იყო (დაიბადა 1762 წ.). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104 წ.) ძეგლისწერის მიხედვით, ეპისკოპოსად ხელდასხმა უნდა მომხდარიყო ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. რით უნდა აიხსნას ერეკლე II-ის გადაწყვეტილება ანტონის არქიეპისკოპოსად და ეპარქიის მღვდელმთავრად რუსეთში ხელდასხმის შესახებ? რუსეთის საიმპერატორო კარი, ერეკლე II-ზე გავლენის მოხდენის მიზნით, კარგად იყენებდა რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს (მუხრანბატონებს) — ვახტანგ VI-ის შთამომავლებს. ქართლის თავადები რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლის სამეფოს აღდგენას და ტახტზე ვახტანგ VI-ის შთამომავლის დასმას სთხოვდნენ. ყოველივე ეს კარგად იცოდა ერეკლე II-მ. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ქართლის ბაგრატიონების (მუხრანბატონების) შტოს ეკუთვნოდა — ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილი იყო. ანტონ I ძალზე პოპულარული იყო საქართველოში, მას კარგად იცნობდნენ რუსეთის პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებშიც. ერეკლე II-მ არ იცოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები: რას მოიმოქმედებდნენ ქართლის ბაგრატიონები და მათი ერთგული თავადები, რა პოზიციას დაიკავებდა რუსეთი. ანტონ I ჭკვიანი, განათლებული და მებრძოლი ადამიანი იყო. თუ იგი პოლიტიკაში ჩაერეოდა, ერეკლე II-ს შეიძლებოდა დიდი სირთულეები შექმნოდა. ამიტომ ერეკლე II-მ გადაწყვიტა ანტონ I-ის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქად ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი აღარ აერჩიათ. ერეკლე II ანტონ I-ისა და საეკლესიო კრების იმედად ვერ იქნებოდა და მზადება წინასწარ დაიწყო. ცარსკოე სელოში ერეკლე II-ს ვაჟის — რიგითი დიაკონის არქიეპისკოპოსად და ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმამ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის პოზიციები გარკვეულად შეასუსტა. ქართლის თავადებსა და რუსეთში მცხოვრებ ქართლის ბაგრატიონებსაც შესაბამისი დასკვნები უნდა გამოეტანათ. ერეკლე II დასახული მიზნისაკენ თანამიმდევრულად მიიწევდა. 1784 წელსვე, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი, ნინოწმინდელი ეპისკოპოსი ანტონი საქართველოში დაუსწრებლად იქნა ხელდასხმული **ალავერდელ მიტროპოლიტად.** 1788 წელს, ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, მიტროპოლიტი ანტონი კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს **ანტონ II-ის** სახელით. ეს ერეკლე II-ის გამარჯვების მაუწყებელი იყო.

ვახტანგ გურული,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

(დასასრული იქნება)

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვიეტნამის შემდეგ აშშ არ გამოიტანდა შესაბამის დასკვნებს და ყელამდე ჩაეფლობოდა ფართომასშტაბიან ერაყის ომში. სტატისტიკის მიხედვით, ერაყის ომმა ხარჯებით გადააჭარბა ვიეტნამისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ მწარე გაკვეთილი ზოგი ქვეყნისა და მისი ლიდერისათვის ნაკლებად მწარე გამოდგა. 1945 წლიდან დაწყებული კაცობრიობა დიდის რუდუნებით აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების და ომის დამთავრების დღეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ მარტო აღნიშვნა დიდი ვერაფერი შეღავათია.

1945 წლის შემდეგ, მართალია, მსოფლიოს არ გადაუტანია მსგავსი მასშტაბური ტრაგედია, მაგრამ უხვად ჰქონდა ადგილი ლოკალურ ომებს — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან დაწყებული, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებით დამთავრებული. მცირე ომებში დაღუპულ და დასახიჩრებულ ადამიანთა რაოდენობა არ ჩამოუვარდება მეორე მსოფლიო ომისას, რომ არარაფერი ითქვას უდიდეს მატერიალურ და მორალურ ზარალზე.

ომით გამოწვეული ნგრევის აღდგენას მრავალი წლის შრომა და უზომო თანხები სჭირდება. მილიარდობით დოლარი დაიხარჯა დაწგრეული ლიბანის აღდგენისათვის და ის-იც იყო ხანგრძლივი პროცესი დასასრულს მიუახლოვდა, რომ გასული წლის ახალმა საომარმა ტალღამ კვლავ ნგრევა მოუტანა ლიბანსა და მის მრავალტანჯულ დედაქალაქ ბეირუთს.

საქვეყნოდ გახმაურებული წიგნის „აგენტ 007“-ის ავტორის იანგ ფლემინგის პუბლიცისტურ სტატიებში, 10 ჟრუანტელსმომგვრელი მსოფლიო ქალაქების შესახებ, ბეირუთს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მაგრამ ეს იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ დღისა და ღამის ცხოვრებით გამორჩეული ბეირუთი მინიმუმ ორჯერ იქნებოდა მიწასთან გასწორებული. პირველი ომით გამოწვეული ნგრევის შედეგების გამოსწორება თითქმის დასასრულს მიუახლოვდა და უმალ ისრაელმა წამოიწყო მეორე ომი. ვაშინგტონით გამხნევებული ისრაელი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში უტევდა

ლიბანსა და მის დედაქალაქს.

დღეს, ლიბანის ომის „გმირის“, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ოლმერტის ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არის. ისრაელის ქალაქები, ისე როგორც გასული შემოდგომით, ანტისამთავრობო დემონსტრაცია-მიტინგებმა მოიცვა. მოსახლეობის მოთხოვნა ერთია — გადადგეს ოლმერტი და მისი მთავრობა. ოლმერტის გადადგომას მოითხოვს თვით მისი მთავრობის წევრებიც, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი ციპი ლივნიც.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის გამოსვლას გარკვეული ანგარიში ეწევა, მით უმეტეს, როდესაც მიტინგი მრავალათასიანია. თელ-ავივის მიტინგში 150.000 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. უცხოური მაგალითები ბევრს გვასწავლის. უკმაყოფილების გამოხატვისათვის ამირან გულში მღეროდას ისტორიული ფორმულა ნაკლებად გამოსადეგია.

ლიბანის ომით შეწუხებული ევროკავშირი იმთავითვე შეუდგა დანგრეული ლიბანის აღდგენისათვის ფულის შეგროვებას, თუმცა ვერაფერი გაახერხა ისრაელთან, რათა მას არ დაენგრია ლიბანი.

ლიბანის აღდგენისათვის ამერიკაც გამოთქვამს მზადყოფნას. ცინიზმის შესანიშნავი მაგალითია — ჯერ დაანგრიე, შემდეგ აღადგინე. სამწუხაროდ ნგრევის პროცესი ხანმოკლეა, აღდგენას კი ათეულობით წლები ესაჭიროება.

საერთაშორისო საზოგადოება, თვით აშშ-ს მოქალაქეებიც ერაყში მიმდინარე პროცესს ხშირად ვიეტნამის ომს ადარებენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კორეის ნახევარკუნძულსა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში გამართულ ლოკალურ ომებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, აშშ-ს სამხედრო კუნთების ტრიალი ვიეტნამსა და ერაყში მართლაც გამორჩეულია. ორივე ომი კიდევაც ჰგავს და კიდევაც განსხვავდება ერთმანეთისგან. საერთო ერთია — ორივემ სერიოზულად შებღალა აშშ-ს იმიჯი მთელ მსოფლიოში.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვიეტნამის შემდეგ აშშ არ გამოიტანდა შესაბამის დასკვნებს და ყელამდე ჩაეფლობოდა ფართომასშტაბიან ერაყის ომში. სტატისტიკის მიხედვით, ერაყის ომმა ხარჯებით გადააჭარბა ვიეტნამისას. ომში დაღუპულ ამერიკელ სამხედროთა თვალსაზრისით ჯერჯერობით (არავინ იცის რამდენ ხანს გასტანს ერაყის ომი) ვიეტნამი ლიდერობს 58.000, ერაყის 3.200-თან შედარებით. ვიეტნამში ამერიკელთა წინააღმდეგ ჩრდილო ვიეტნამის რეგულარული არმია იბრძოდა, ერაყში — პატარ-პატარა ტერორისტული ჯგუფები.

ერაყის ომის დაწყებიდან ოთხი წელი გავიდა. აშშ-ს საზოგადოება და პოლიტიკური ძალები მოითხოვენ ამერიკის ჯარების ერაყიდან გამოყვანას. პრეზიდენტ ბუშის მიხედვით დაჩქარებული გამოყვანა, როგორც ამას აშშ-ს კონგრესი და სენატი მოითხოვს — 2008 წლის აპრილისათვის, პროვოცირებას გაუკეთებს მასობრივ სისხლისღვრას, რასაც ვიეტნამში ჰქონდა ადგილი. „ეს გამოიწვევდა უდანაშაულო ადამიანთა მასობრივ მსხვერპლს. ერაყი იმით არის განსხვავებული, რომ მტერი არ დარჩება ახლო აღმოსავლეთში. ის ჩამოგვყვება ამერიკაში“ — რეიტინგდაკარგული პრეზიდენტის განცხადება ამერიკელთა დაშინებას და საკუთარი მცდარი პოლიტიკის გამართლებას უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტებას.

ერაყის მოსახლეობის მოსაზრებით, ამერიკელთა ყოფნა ერაყში ერაყელთა ცხოვრებას ბევრ სიკეთეს ვერ მოუტანს. ამერიკელთა ერაყში ყოფნა ერაყელებისთვის ნიშნავს ტერორისტული ჯგუფების ბოროტებას, ანგარიშსწორებას, ტერორისტულ აქტებს, ადამიანთა მასობრივ მსხვერპლს, ეკონომიკურ ბოიკოტს, ეკონომიკურ ბლოკადას

ქართველთა ომი

„გესტაპოელებმა მხეცურად აწამეს 30 წლის ევგენია (ჟენია) მაისურაძე და მისი ათი წლის ვაჟი ვილლი. დედის თვალწინ ბავშვს თვალები დასთხარეს, მოაგლიჯეს ცხვირი და ყურები. დედასაც იგივე გაუკეთეს, გადაუმტვრიეს ხელები, ფეხები და შემდეგ ორივე დახვრიტეს“

◎ ნამდვილი ამბავი

ჯვარცმული დედა-შვილი

ძალაძ ნალჩიკში, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება აქტი, რომელიც 1943 წლითაა დათარიღებული და ევგენია მელიტონის ასული მაისურაძისა და მისი 10 წლის ვაჟის ვილლის ტრაგედიაზე გვიყვება:

„გესტაპოელებმა მხეცურად აწამეს 30 წლის ევგენია (ჟენია) მაისურაძე და მისი ათი წლის ვაჟი ვილლი. დედის თვალწინ ბავშვს თვალები დასთხარეს, მოაგლიჯეს ცხვირი და ყურები. დედასაც იგივე გაუკეთეს, გადაუმტვრიეს ხელები, ფეხები და შემდეგ ორივე დახვრიტეს“.

გთავაზობთ ერთ თავს ზაურ ფიფიას დოკუმენტური მოთხრობიდან „ჯვარცმული სიცოცხლე“.

* * *

— შეკითხვაზე მიპასუხეთ მოკლედ და კონკრეტულად. თქვენს პასუხზეა დამოკიდებული თქვენივე სიცოცხლე! — „კეთილისმსურველის“ ტონით თქვა მაიორმა.

ევგენიას ბორკილებდადებული ხელები კალთაში ეწყო.

—... თქვენსავე პასუხზეა დამოკიდებული თქვენი შვილის ბედიც!

შეკრთა.

— ... თქვენი გვარი?

— მაისურაძე!

— სახელი?

— ევგენია!

— მამის სახელი?

— მელიტონი!

— ოჯახური მდგომარეობა?

— მყავს შვილი...

— და მეუღლე!

— მეუღლე დაიღუპა!

— ვინ იყო იგი, სად და როდის დაიღუპა?

— ჯარისკაცები სამშობლოს სწირავენ თავს!

— რწმენა?

— მხოლოდ გამარჯვება!

— სოციალური მდგომარეობა?

— მამაჩემი კოლმეურნე იყო!

— გყავთ თუ არა ძმები და დები?

— ჩემი სამივე ძმა ფაშისტებს ებრძვის!

— ეროვნება?

— ქართველი!

— რატომ არ ცხოვრობთ თქვენს სამშობლოში?

— აქ ჩემი სამშობლოა!

— ახლა აქ გერმანიის რეიხი განაგებს ყველაფერს!

— ეს დროებით!

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ შეიძლება თქვენმა უკმეხმა პასუხებმა ცუდი სამსახური გაგიწიოთ?

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!

ოთახში ახმახი რიგითი შემოვიდა და შანთები გახურებული ღუმელის თავზე დააწყო.

— მოვალე ვარ, მოგიწოდო გონიერებისაკენ, არ დაივიწყოთ, დედა რომ ხარ!..

— არის ისეთი რამე, რომელსაც ადამიანები არასოდეს ივიწყებენ...

— აი, ასე! ახლა კი საქმეზე! თქვენს ბინაში ჩვენმა თანამშრომლებმა დააკავეს ჩრდილოეთ კავკასიის პარტიზანთა ერთ-ერთი თავკაცი, ასანოვი... მან ყველაფერი აღიარა, თქვა რისთვისაც ჩამოვიდა ნალჩიკში, რა გეგმები აქვს, სად არის იატაკქვეშეთი და ასე შემდეგ...

ევგენიას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მაიორა არ დააცადა.

— ნუ ჩქარობთ!.. ბოლომდე უნდა გითხრათ ყველაფერი და მერე ბრძანეთ!.. დიახ, ასანოვმა ყველაფერი აღიარა, მაგრამ ამ საქმეში, სამწუხაროდ, თქვენც ხართ გარეული და მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ეს. ჩვენ კი გვინდა, როგორც ჩვენს თანამშრომელს, შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა!

— გმადლობთ, ბატონო მაიორო, მაგრამ მე არ ვიცნობ ამ გვარის ადამიანს... ის კაცი ასანოვი არ არის და არა მგონია, რომ რაიმე საიდუმლო ჰქონდეს... რა კავშირი აქვს მას პარტიზანებთან?

— ჩვენ უნდა ვენდოთ ერთმანეთს! ხომ გეუბნებით, აღიარა-მეთქი, ესე იგი, აღიარა, მაგრამ მე მინდა ეს თქვენგანაც გავიგონო, ხომ გითხარით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი და თქვენი შვილის ბედზე...

ჯარისკაცმა ახლა ხუნდები შემოიტანა. მაიორმა ჩაიღიმა და ევგენიას ჰკითხა.

— ასეთი „ტექნიკა“ თუ გინახავს?

ევგენიას ბავშვობა გაახსენდა. მეხუთე თუ მეექვსე კლასში იყო მაშინ, ისტორიის მასწავლებელმა მოსწავლეები მუზეუმში წაიყვანა ექსკურსიაზე. მუზეუმის ერთ-ერთ კუთხეში ელაგა წმენდის ათასგვარი „ტექნიკა“. შემდეგ, მარტოც ბევრჯერ მისულა ევგენია მუზეუმის ამ კუთხესთან და მუდამ ტანში აჟრჟოლებდა ხოლმე.

— უსუსურობაა! — ხმამაღლა დაამთავრა ევგენიამ ფიქრი.

მაიორმა ირონიულად ჩაიცინა.

— ჩვენ უფრო თანამედროვე საშუალებებიც გვაქვს, ფრაუ მაისურაძე, მაგრამ თქვენ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩვენ ხომ იმისთვის არ შევხვდით ერთმანეთს, რომ... — მაიორმა ხუნდებზე მიანიშნა, — ჩვენ ხომ იმიტომ შევუთანხმდით ერთმანეთს, რომ გამოსავალი ვიპოვოთ, თუ როგორ გადაგარჩინოთ... ვფიქრობ, თქვენი გულახდილობა დაჩრდილავს დანაშაულს, ხოლო თუ დანაშაული დაგიმტკიცდათ მაშინ... მაორმა ხელები გაშალა.

— ... ისე კი, გაოცებული ვარ, თქვენ, რომელმაც ნებაყოფლობით შემოგვთავაზეთ სამსახური და აქამდე ერთგულად ასრულებდით მინდობილ საქმეს, როგორ?... საოცარია, რა გაკავშირებთ მაინც იმ ავაზაკთან?

— ეს ჩემი პირადი საქმეა...

— სწორია!... — თითქოს, მხოლოდ ახლა მიხვდაო, წამოიძახა მაიორმა, — მაპატიეთ!.. ამაზე არც დავფიქრებულვარ აქამდე, მაპატიეთ!.. იქნებ გერიდებათ ჩემი, გეუხერხულებათ... ახლავე, ახლავე დავუძახებ... ქალები უფრო გაუგებთ ერთმანეთს... მაიორმა ღილაკს დააჭირა თითი და მეზობელ ოთახში ზარმა დარეკა. კარები მაშინათვე შემოაღო გესტაპოს ფორმაში გამოწყობილმა, საშუალო ტანის, მამაკაცივით ჩაფსკვნილმა ახალგაზრდა ქალმა.

— გისმენთ, ბატონო, მაიორო!

— ფრაუ, გრეეტ, ფრაუ მაისურაძემ თქვენთან ისურვა საუბარი, ხომ არ დაგვზარდებით?

— ვეცდები, ვემსახურო!— გესლიანად ჩაიცინა ფრაუ გრეეტმა.

— მაშ, გტოვებთ, აბა, თქვენ იცით!.. ხო, მართლა, ფრაუ მაისურაძე, თქვენთვის ცნობილია სად არის... რა ჰქვია?.. ჰო, ვილლი?..

ევგენია შეკრთა და ფეხზე წამოდგა.

— ნუ ღელავთ, იგი მეგობრებთანაა!.. ფრაუ გრეეტ, ბავშვი ხომ კარგადაა?

— კარგადაა!.. დედის ნახვას ითხოვს, ეგ არის და ეგ!

— არა უშავს მალე შევახვედრებთ!

მაიორი გავიდა. ქალები მარტო დარჩნენ. კედლებზე ჰიტლერის პორტრეტი ეკიდა. რკინის გისოსებით შიგნიდან ამოკეტილი ფანჯრების იქით თოვდა და ფანტელები მინებზე დნებოდა.

იდგა 1942 წლის 31 დეკემბრის ღამე. ორიოდე საათში ახალი წელი მობრძანდებოდა.

— ლამაზი ბრძანებულხარ, ქალბატონო!.. კბილებში გამოცრა გრეეტმა.

ევგენია დაჯდა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! თქვენ ახლა დამშვიდება გჭირდებათ. მოიკრიბეთ გონება, საჩქარო არაფერი გვაქვს...

გრეეტი ღუმელთან მივიდა და შანთი აიღო.

— მე ვფიქრობ, ეს ნივთი შეცდომით შემოიტანეს აქ, არ დაგვჭირდება... ასე არ არის?.. მაშ, ასე, რატომ ჩამოვიდა ასანოვი ნალჩიკში?... სად არის იატაკქვეშეთი და რა გეგმები აქვთ პარტიზანებს? უბრალო კითხვებია ხომ?.. ჩვენ ხომ ქალები ვართ და შეგვიძლია გულახდილები ვიყოთ ერთმანეთთან... იქნებ დაგეხმაროთ კიდეც... რა გაკავშირებთ ასანოვთან? საყვარელია?

ევგენიამ წამოიწია, მაგრამ გრეეტმა არ დააცალა, მხრებზე დააწვა და დასვა.

— ნუ, ნუ!.. რატომ ბრაზობ? სიტყვას ნუ მაწყვეტინებ! მერე რა, ვის არ ჰყავს საყვარელი, მით უმეტეს ასეთ მიმზიდველ არსებას... გრეეტი ევგენიასკენ დაიხარა, საკინძეში ხელი ჩაუყო და წელამდე ჩამოახია.

— ძაღლო!.. — აღმოხდა ევგენიას.

— რიგითო!.. — გრეეტის ხმაზე კარებში ის ახმახი ჯარისკაცი გაიჭიმა, რომელმაც წეღან ხუნდები შემოიტანა.

— მე ვატყობ, საქმე სხვანაირად ვერ წავა წინ!.. მოამზადეთ ეს „სათამაშო“! — ხუნდებისკენ მიუთითა გრეეტმა.

ევგენიამ ფეხები ინსტიქტურად შესწია სკამქვეშ.

— ნუ ღელავთ, ძვირფასო, ჰერბერტი მაინც მიაგნებს მათ!..

ევგენია გრანიტად ქცეული ადამიანის ქანდაკებას ჰგავდა. მის თვალწინ ჯოჯოხეთი მიმოდიოდა და რაღაც კითხვებს უმეორებდა. ფეხებზე თანდათანობით უჭერდა სალტეები. მხოლოდ თვალებში ედგა სიცოცხლის ნიშანწყალი და ეს თვალებიც ახლა შორს, ძალიან შორს იხედებოდნენ, სადაც ვილლი იდგა, თავისი ცისფერთვალება, ქერათმიანი ვილლი. ევგენიას არ ახსოვდა, რამდენხანს გაგრძელდა ასე. მერე ოთახში მაიორი შემოვიდა.

— ო, ქალბატონებო, როგორც ვხედავ, საქმე წინ წასულა!... თუმცა, ეს რას ნიშნავს, ფრაუ გრეეტ? — ყასიდად გათამაშებული გამოუვიდა სიმკაცრე, — ჰერბერტ, ახლავე ახსენი ეს სისაძაგლე!

ახმახმა ჭრიალით მოუშვა სალტეებს და ხუნდები განზე გასწია.

— აპატიეთ, ფრაუ მაისურაძე, ახლები არიან... აპატიეთ! ფრაუ გრეეტ, გაიცილეთ!..

ევგენიამ ტანი ვერ შეიმაგრა და გულწასული დავარდა იატაკზე.

— რა ქენით ეს, გრეეტ? ... როდის უნდა ისწავლოთ მუშაობა? საქმე არ დაგიწყიათ და უკვე აფუჭებთ!... ფეხები მოამტვრიეთ?

ფრაუ გრეეტი გაფითრებული მივარდა ევგენიას და ტერფები მოუსინჯა.

— არა, ბატონო მაიორო, ფეხები ადგილზე აქვს!...

— „ადგილზე აქვს“ — ზიზღით გაიმეორა მაიორმა...

ზაურ ფიფია

◎ პატივგება

„საუკეთესო ჯარისკაცი“

გასულ შაბათს, საქართველოს საუკუნის ადამიანთა ასოციაცია „სავანის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა ხანდაზმულთა კონკურსი დევიზით: „საუკეთესო ჯარისკაცი“.

კონკურსს საფუძველი ხაჩატურ ვართანიანცმა ჩაუყარა. პირველი საღამო 1997 წელს შედგა და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება. აქ ძირითადად ომის ვეტერანები იყვნენ შეკრებილნი, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ დაჯილდოების დაწყებას. საღამოს ქალბატონი დონარა კინწურაშვილი უძღვებოდა. ასეთი კონკურსი არა მარტო საქართველოში, არამედ უკრაინაში, რუსეთში, იაპონიასა და სომხეთშიც იმართება. საღამო მოცეკვავეთა ანსამბლმა „ყაზბეგმა“ გახსნა. კონკურსში აგრეთვე მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ალილო“, „მზიური“, „საუნჯე“, „წითელქუდა“. და სხვა.

ორგანიზატორები ცდილობდნენ, საღამო რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო, მაგრამ ქალბატონ დონარას დიდი ძალისხმევის მიუხედავად, კურიოზის მოყოლაზე არავინ დათანხმდა. ვეტერანები ძირითადად ქართული ცეკვების ცქერით ტკბებოდნენ.

კონცერტის შემდეგ გაიმართა კონკურსი. სულ გამოვლინდა 10 გამარჯვებული ვეტერანი, რომლებიც კომპეტენტურმა ჟიურიმ დაასახელა. გამარჯვებულებს ვეტერანთა საბჭომ ერთჯერადი ფულადი დახმარება — 70 ლარი გადასცა. ხოლო „ჯეოსელმა“, რომლის წარმომადგენელიც დუტა სხირტლაძე გახლდათ, უფასო ნომრები და უფასო სასაუბრო დრო უსახსოვრა მათ.

კონკურსის ორგანიზატორები შეგვპირდნენ, რომ უფინანსობის მიუხედავად, ყოველ წელიწადს, შეძლებისდაგვარად, შეეცდებიან ეს ტრადიცია გაგრძელონ და კიდევ ბევრჯერ შემოგვთავაზონ ასეთი შთამბეჭდავი საღამოები...

მაია კილასონია,
მირანდა ფორჩხიძე

ქართველთა ომი

● ყუმბარებისგან და ნაღმმტყორცნელებისგან ცა ისე იყო გაწითლებული, რომ ნებისმიერ კაცს შორიდანვე იცნობდი, გეგონებოდა, ჯოჯოხეთი ქვესკნელიდან ამოვიდა და მიწაზე განერთხოო

მეორე მსოფლიო ომის ლეგენდარული პარტიზანული შენაერთის მეთაური ივანე კოვპაკი (მარცხნივ) და ამ შენაერთის ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელი დავით ბაძრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ომში ვიყავ...

მეტეხელი რევაზ გეჯაძე

სასამულო ომის პირველი ხარისხის ორდენითა და მედლებით მკერდდამშვენებული ბერიკაცი მეტეხის სადგურის ბაქანზე გამოსულიყო. მეც, დათქმისამებრ, დილის მატარებლით ჩავედი. თვალი მომკრა თუ არა, ჩემკენ წამოვიდა, მივესალმეთ და ერთმანეთი მოვიკითხეთ. რევაზ გეჯაძე სადგურიდან ასიოდ მეტრში ცხოვრობს და ჩვენც ნელა გავუყევით გზას.

რეზო გეჯაძე თავის დროზე მენახირეც იყო, მებაღეც, მევენახეც, კოლმეურნეობაშიც მუშაობდა და აგურის ქარხანაშიც. მამა, ვანო გეჯაძე, ფინელებთან ომში იბრძოდა, ხეიბარი დაბრუნდა შინ. მეორე მსოფლიო ომი დაიწყო თუ არა, ახლა რეზო და მისი ძმა მიხეილი წავიდნენ ფრონტზე, მათი გზები ჩრდილოეთ კავკასიაში გაიყარა. მიხეილი ბელორუსიის ფრონტზე გააგზავნეს, რეზო კი კავკასიის მისადგომებთან შეება მტერს. ახალგაზრდა ბიჭს სისხლი უდუღდა, მამაცურად იბრძოდა და პირველი საბრძოლო ჯილდოებით აქ დაიმშვენა მკერდი. 1943 წლის შემოდგომაზე კი ლეგენდარული მე-18 არმიის შემადგენლობაში ნოვოროსიისკის მისადგომებთან ამოყო თავი. ქალაქი მთელი ტამანის ნახევარკუნძულის თავდაცვითი ცენტრი იყო და ფაშისტებს გულმოდგინედ ჰქონდათ გამაგრებული.

ოპერაციაში უმაღლესი სარდლობის ჩანაფიქრით წამყვანი სამხედრო ძალა უნდა გამხდარიყო მე-18 არმია, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი (შემდგომში გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი) კონსტანტინე ლესელიძე სარდლობდა.

— კარგად მახსოვს ლესელიძის მოსვლა პოლკში, — ამბობს რეზო გეჯაძე. — ეს იყო 43 წლის 8 თუ 9 სექტემბერი. მასთან ახლდა არმიის პოლიტხელი ლეონიდ ბრეჟნევი, სარდალი ხან ქართულად, ხან რუსულად გველაპარაკებოდა. „აბა, თქვენ იცით, ქალაქის გასათავისუფლებლად როგორ იბრძოლებთ“, — გვითხრა. მე კიდევ იმ ასაკის ვიყავი, კაცს თავში ქარი რომ უქრის. ავდექი და შევეპასუხე: „საბრძოლველად ვართ ჩამოსული და მა რას ვიზამთ-მეთქი“. ამაზე ბევრი იცინეს და წავიდნენ.

ქალაქის განთავისუფლების ოპერაცია ათ სექტემბერს, ღამით დაიწყო და ხუთი დღე გაგრძელდა.

ყუმბარებისგან და ნაღმმტყორცნელებისგან ცა ისე იყო გაწითლებული, რომ ნებისმიერ კაცს შორიდანვე იცნობდი, — მიამბობს მასპინძელი, — გეგონებოდა, ჯოჯოხეთი ქვესკნელიდან ამოვიდა და მიწაზე განერთხოო. მე-18 არმიამ გააფთრებით შეუტია სამხრეთიდან ქალაქს. ერთ-ერთ ბრძოლაში ჩვენი მებრძოლების შორიახლო მტრის ყუმბარის აფეთქებამ თითქოს დედამიწა შეძრაო, თვალთ დამიბნელდა. მას შემდეგ აღარაფერი მახსოვს...

ორი დღე ეგდო ბრძოლის ველზე თავში და სხეულის რამდენიმე ადგილას ყუმბარის ნამსხვრევებით მძიმედ დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი. დილით, 16 სექტემბერს, როცა საბჭოთა ჯარებმა მთლიანად გაწმინდეს ქალაქი მტრის ნარჩენებისგან, სამედიცინო-სანიტარიული ბატალიონის ფერშალ-ექიმები ბრძოლის ველის დათვალიერებას შეუდგნენ. „ახარისხებდნენ“ ბრძოლის ველზე დაცემულთ: ამ ფურგონებში — მკვდრები, ამაში კი — დაჭრილები. გონებაწართმეული რეზო გეჯაძე იმდენად მძიმე და უიმედო მდგომარეობაში იყო, ერთხანს ვერც გაარჩიეს, ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ანუ რომელ ფურგონში მოეთავსებინათ... ბოლოს ცისფერთვალება რუსმა გოგონამ მხარზეგადაკიდებული საფერშლე ჩანთიდან სარკე ამოიღო და ჯარისკაცს ცხვირთან მიუტანა, თან ყურადღებით დასცქეროდა „ცოცხალია, სუნთქავს! — დაიძახა გახარებულმა, — ხედავთ, სარკე დაორთქლდა!“.

ჯარისკაცი დაჭრილების ფურგონში ჩააწვინეს და ზურგში გადაიყვანეს. ლაზარეთში ექვსი თვე მკურნალობდა. 44-ის გაზაფხულზე რეზო გეჯაძე შინ დაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ დაოჯახდა და კვლავ მიწას მიუბრუნდა. ერთგულად ემსახურა ქვეყანას, სოფელს. ფრონტზე მიღებულ ჯილდოებს შრომის ფრონტზე მოპოვებული ჯილდოებიც მიემატა.

უკვე 84 წლისაა... გული და ცხოვრების ხალისი კვლავ შერჩა ახალგაზრდული.

რეზო გეჯაძე ის კაცია, ვინც 1998 წელს, 74 წლისამ მტკვარი გადაცურა საოცრად ორიგინალურად. ორივე ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, მესამე ანთებული სანთელი კი ფეხის ცერზე ჰქონდა დამაგრებული. როგორც თავად ამბობს, მტკვარი ცეცხლის ჯვრით გაანათა. მაშინ ამ დაუჯერებელ ამბავს მსოფლიო პრესა გამოეხმაურა, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაც“.

დამშვიდობებისას რეზო გეჯაძემ შემოდგომაზე, თავისი მოვლილ-დამუშავებული ვენახის რთველში დამპატიჟა, ვაზის ახალი ჯიში გამოვიყვანე — „თავკვერის საფერავი“ უნდა გაგასინჯინოო.

სიამოვნებით ვეწვევი.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ.კორ.

P. S. შეიძლება კაცი მეტეხში მოხვდეს და ვლადიმერ პუტინის შესახებ არაფერი იკითხოს?!

— ვოვა? როგორ არ მახსოვს, — მითხრა რეზო გეჯაძემ, — ფრონტიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, მაშინ ზევით, მტკვარგაღმა სკოლასთან ვცხოვრობდით. იმ უბანში ცხოვრობდა გოგიაც. ოსეფიანები იყო თუ ოსეფაშვილი, აღარც მახსოვს. ვოვა, გოგიას ცოლმა, ვერამ ჩამოიყვანა რუსეთიდან. ამის თაობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ სოფელში. სოფელი ჯერ დღეს რაა, ახლა მაშინ რა იქნებოდა. კარგი ბავშვი იყო, დინჯი, დაკვირვებული, მაშინაც კი, როცა ტოლ-ამხანაგებში თამაშობდა. მაგრამ თვალებიდან სულ სიხარულის ნაპერწკლები ცვიოდა, როცა ბიჭები მტკვარზე სათევზაოდ გაემზადებოდნენ... დღეს ვოვა დიდი კაცია და მეტეხელობას რაღას იკადრებს...

გ. ვ.



◎ გმირის დედის ოდისეა

არ დაგივიწყებთ, ბიჭებო!

ყველა **დედა როდი გამოდგა კატო კაპანაძესავით გამბედავი; ალბათ ყველას გახსოვთ, კუკიის სასაფლაოსკენ მიმავალთ — კაპანაძის ქუჩა №6 ბინიდან რამდენიმე მეტრში ოთარ კაპანაძის საფლავი, თვითმფრინავის ფრთები რომ იზიდავდა ყველა მნახველს. ამ გმირი მფრინავის ბრინჯაოს ძეგლი მის ბინაზე დგას — სტუმრად მისულებს მისი ქალიშვილი მარინა გამოგვეგება, ჟურნალისტებს ცრემლით შემოგვხვდა. მამის ძეგლს ბინაზე რომ ყარაულობს და ეფერება...** ოთარი — კატო კაპანაძის შვილი გახლდათ, რომელმაც 1936 წელს, თბილისის აეროკლუბი დაამთავრა, მფრინავის წოდება მიიღო, მერე კი პერმში გაგზავნეს, სადაც სამხედრო მფრინავის წოდება მიიღო. ამით არ დამთავრდა მისი დაოსტატება ბრიანსკში გააგზავნეს, სადაც სამამულო ომმა მოუსწრო. ქართველი მფრინავი ბრძოლებში ჩაება. ოთარი, ღამის ბომბდამშენის პოლკს ხელმძღვანელობდა. კატოსთვის წერილის მოსვლა დიდი სიხარული იყო. რა ვქნა, ყველა დედა თუ იტანს, ითმენს, მეც უნდა მოვითმინოო! კატო კაპანაძე არ აცდენდა ახალგაზრდების შეკრებებს, სიტყვით მიმართავდა მათ და ოთარის ფრენის ისტორიებს უყვებოდა. ოთარი ნევინომინსკში გადაიყვანეს. კატო კი მოთმინებას ჰკარგავდათ. მალე მეუღლე — გიორგი და კატო კაპანაძეები შვილთან გაემგზავრა. კატომ გაიხარა შვილთან შეხვედრით. მის მეგობრებსაც გაუმასპინძლდა ქართული პურმარილით. შვილმა მაინც შენიშვნა მისცა: დედა ეს ბიჭები ცოდონი არიან, მათაც ხომ ჰყავთ მშობლები. ისინიც ხომ ითმენენ შვილის უნახაობას.

ბრძოლებმა სტავროპოლში გადაინაცვლა. კატომ აქაც ნახა შვილი. წამოსვლისას კატოს გულმა უგრძნო, რომ შვილთან შეხვედრა ბოლო უნდა ყოფილიყო. სამი დღე საფლავებს უვლიდა და თან დასტიროდა, თქვენ ხომ დედები ვეღარ განახავთ, მე დაგაყრით ცრემლებს მათ ნაცლადო.

1943 წლის 24 მაისს დედამ დეპეშა მიიღო; პოლკოვნიკი კუბანოვი ოთარის გმირულად დაღუპვის ამბავს ატყობინებდა... კატო კაპანაძეს რა მოასვენებდა. თბილისის ხელისუფლება შეაწრიალა — შვილი უნდა, გადმოვასვენოო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი სტურუამ სთხოვა: მოითმინე, ომი დამთავრდეს და ერთად წავიდეთო! არა და არა. კატომ არ მოისვენა. რკინის ქალამნები ჩაიცვა, ვაუკაცის ფარაჯა მოისხა და მაინც თავისი გაიტანა. სტავროპოლში გაფრინდა. კუბანოვმა კატო გააფრთხილა, ბიჭებს ცრემლი არ დაანახო, ცოდონი არიანო.

1943 წლის 13 ივნისს, კატომ ოთარის ცხედარი თვითმფრინავით გამოამგზავრა, — ნუ შეგეშინდება, — აფრთხილებდა კუბანოვი, თვითმფრინავს ბომბდამშენი მოჰყვებაო. — როგორ უნდა შემშინებოდა, ამბობდა კატო, — ამაზე მეტი რაღა უბედურება უნდა მომსვლოდა, როცა ერთადერთი შვილი კუბოში მესვენა და სამშობლოში მომყავდაო.

თბილისის აეროპორტში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სასწაული ქალიაო, ამბობდნენ მისიანები. გული დაიმშვიდა, როცა შვილის ცხედარი კუკიის სასაფლაოზე, კართან ახლოსვე დაიგულა...

დღეს, „ბრინჯაოს მამა“, მისსავე ბინაზე დგას და შვილს — მარინეს აიმედებს: მებრძოლი მამა გვერდით გყავს, ნუ გეშინია, თვითმფრინავის გარეშეც შემიძლია მტერს გავუმკლავდეო. — „კატო დედა“ — ასე ვეძახდით, — სახლში, შავებში გახვეული კი არ დამჯდარა, ჰოსპიტლებში დადიოდა და ჯარისკაცებს უვლიდა, აიმედებდა. ვერც ჩვენ მოვისვენეთ. ოცი მოგზაურობა გვქონდა სხვადასხვა ქვეყნებში. ომის ვეტერანები ცრემლებით ვრწყავდით მათ საფლავებს.

ჩვენი ცხოვრება ასეთი რთულია და სევდით სავსე. არ დაგივიწყებთ ბიჭებო!

დოდო ზურაბიშვილი

№ 88. ოთხშაბათი, 9 მაისი, 2007 წელი.

ქართველთა ომი

● რვა ძმათაგან სამამულო ომის პერიოდში ოთხმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ ორი ძმა (მინაგო და გენადი) ვეღარ დაუბრუნდა ოჯახს

მიხეილ ხარძეიშვილი (მარცხნიდან) და გენადის თანამებრძოლები ტანკთან, რომელიც პირველი შეიჭრა ოკუპირებულ ბელგოროდში. 1975 წ.

◎ ᲫᲛᲔᲑᲘ

თავგანწირული რაინდი

რვა ვაჟიშვილი (მიხეილი, მინაგო, გენადი, აპოლონი, სულიკო, ლევანი, ბორისი და თენგიზი) აღუზარდა სამშობლოს ვანის რაიონის სოფელ გადიდში მცხოვრებმა ვასილ დავითის ძე ხარძეიშვილმა. რვა ძმათაგან სამამულო ომის პერიოდში ოთხმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ ორი ძმა (მინაგო და გენადი) ვეღარ დაუბრუნდა ოჯახს.

მტერთან თავგანწირულ ბრძოლაში

გენადი ხარძეიშვილი

განსაკუთრებული სახელი და დიდება მოიპოვა მესამე ძმამ, კაპიტანმა გენადი ხარძეიშვილმა, რომელიც 21 წლის ასაკში ბალტიისპირეთის ფრონტზე განსაკუთრებული დანიშნულების სადესანტო ასეულს ხელმძღვანელობდა ისე, რომ მისი საბრძოლო დიდების სახელი მთელ ფრონტზე ქუხდა. ის იყო მტრის ღრმა ზურგში გაბედული საბრძოლო რეიდების განუმეორებელი ოსტატი.

ქალაქ შაულიაის მახლობლად წარმოებულ მძიმე ბრძოლებში მიღებული ჭრილობებისგან გენადი დაიღუპა ქ. მურომის ევაკოჰოსპიტალში. მისი ამაგის უკვდავსაყოფად თავგამოდებით იღვაწა ფრონტიდან ჭრილობების გამო ახლად დაბრუნებულმა უფროსმა ძმამ მიხეილმა და იმ პერიოდისთვის განსაცვიფრებელ შედეგსაც მიაღწია. გთავაზობთ მის მოგონებას.

ბედნიერი წუთები უსაზღვრო მწუხარებაში

1944 წლის ნოემბერი. უჩვეულოდ ნაადრევი ზამთარი იდგა ქ. მურომში, თერმომეტრი 27 გრადუს ყინვას უჩვენებდა. მოსკოვიდან ვბრუნდებოდი, კრემლის კომენდანტის მეშვეობით უმაღლეს მთავარსარდალს წერილობით თხოვნით მივმართე, დახმარება გაეწია ბალტიისპირეთის ფრონტზე მიღებული ჭრილობებისგან ქ. მურომის ევაკოჰოსპიტალში დაღუპული სახელოვანი ძმის გადმოსვენებაში. პასუხი გარკვევით არ ვიცოდი და ამის გამო მატარებლიდან ორმაგად დამწუხრებული გადმოვედი. ანაზდად ვიღაცამ მომაბრუნა, ვიცანი ქ. მურომის რკინიგზის სადგურის უფროსი... მასთან მე და მამაჩემი მიცვალებულის გადასასვენებლად ვაგონში ადგილის გამოყოფისათვის წინა დღეებში (ამაოდ) ვიყავით... ამჯერად მან რკინიგზაზე ცალკე მდგარი საბარგო ვაგონი დამანახა და მითხრა: „ეს ვაგონი ამ დილით ჩამოაყენეს „მოსკოვის“ განკარგულებით შენი ძმის საქართველოში გადასასვენებლადო“. მოულოდნელობისგან გავშეშდი, თავი სიზმარში მეგონა, მე ვაგონის პატარა კუთხეს ვითხოვდი, უმაღლესმა მთავარსარდლობამ კი ღირსად ჩათვალა, ჩემი ძმა სპეციალური ვაგონით, უსასყიდლოდ საქართველოში გადმოესვენებინა.

მადლობა გადავიხადე და ქალაქის ცენტრს მივაშურე, სადაც მოხუცი მამა სასტუმროში მელოდა. თავდავიწყებით მივრბოდი, იმ წუთში ყველა გაჭირვება დამავიწყდა. ასე მეგონა, ჩემი ძმა ქ. მურომის ცენტრალური სასაფლაოს იმ გაყინულ მიწაში კი არ იწვა ტყვიებით დაცხრილული, რომელიც წინა დღეებში მაჩვენეს, არამედ გაცოცხლებული და შარავანდედით მოსილი ჩემს წინ მიქროდა საქართველოსკენ, რათა მალე ენახა და გულში ჩაეკრა ოთხი წლის უნახავი დედ-მამა, და ძმა, ნათესავები და მეგობრები...

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე

ძ. ლვოვის მეექვსე არმიაში შემავალი ჩვენი ნაწილი ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე იდგა უკრაინის სახელმწიფო საზღვართან და პირველ დღესვე ჩაება ბრძოლაში. მანამდე კი პოლკის მეთაურმა ბარაშანოვმა რამდენიმეწუთიანი სიტყვით მოგვმართა: „შვილებო და ძმებო, — როგორც მოსალოდნელი იყო, ფაშისტურმა გერმანიამ ვერაგულად დაარღვია თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და ღამით დაგვესხა თავს. ფაშისტების ავიაცია ამჟამად გაშმაგებით ბომბავს ჩვენი ოფლითა და სისხლით ნაგებ ქალაქებსა და სოფლებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, უკვე დაიღვარა ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი. მტერი ვერაგი, ცბიერი და ძლიერია, მაგრამ უძლეველი არ არის, არ შედრკეთ შვილებო, ჩვენს დასახმარებლად სამშობლოს ყველა კუთხიდან სწრაფი ტემპით მოემართებიან ყველა სახეობის ჯარები. ჩვენი ვალია, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს გავუძლოთ, გზა გადავუკეტოთ ფაშისტურ არმიებს სამშობლოს გულისკენ“.

ასე დაიწყო და შემდეგ წლების განმავლობაში გაგრძელდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი და სასტიკი ომი... ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვმდგარვართ სიკვდილის პირისპირ, მოვხვედრილვართ ლომის ხახაში, გადაგვილახავს, როგორც იტყვიან, ბეწვის ხიდი ადუღებულ კუპრის ზღვაზე და სამი წლის შემდეგ დავბრუნდი ოჯახში ნახევრად შეუხორცებელი ფიზიკური და სულიერი ჭრილობებით, რომელიც გამიახლა ფრონტზე უსაყვარლესი უფროსი ძმის დაღუპვამ...

მიხეილ ხარძეიშვილი

◎ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ

არტო მასურაშვილის საუკუნე

არტო პაპა 104 წლის წინათ დაიბადა პატარა ლილოში. მან თამამად გაარღვია საუკუნის მიჯნა და მალე დაბადების კიდევ ერთ წლისთავს იდღესასწაულებს.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მხნედ არის, ხარობს თავისი შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით.

მისი მონაგარი 34 კაცსა და ქალს ითვლის.

არტო პაპა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა, ის ამშვენებს ომის ქართველ ვეტერანთა არმიას. იბრძოდა ქერჩში, მარეუპოლში, ბერლინის მისადგომებთან. ომი დაამთავრა 1945 წლის 9 მაისს. 1946 წელს ბატონი არტო საბრძოლო ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა თავის ქვეყანას და ოჯახს, ჩადგა დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობაში და, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, შეჰხარის ყოველი დღის გათენებას.

გასული წლის 9 მაისს ქვეყნის პრეზიდენტმა 500 ლარით დაჯილდოვა, ამავე დროს, რუსეთის საელჩო ყოველწლიურად ეხმარება 50 ლარით.

ბატონი არტო გვიტოვებს კაცურ ანდერძს, რომ კუბოს ნაცვლად ტიკჭორაში ჩავდოთ და... სიმღერით გავაცილოთ.

ღმერთო, შენ გაუხანგრძლივე სიცოცხლე ამ უშიშარ კაცს.

ვლადიმერ არჯევანიძე

თბილისის ძველი უბნის — მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

◎ ᲤᲐᲥᲢᲘ

465 სიცოცხლის ნერგი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის დავით ლეკიშვილის ინიციატივით, საინერგე მეურნეობა „ეკომარიდან“ შეისყიდეს 465 ძირი ნერგი რაიონის საჯარო სკოლების შემოგარენში და ქალაქის ქუჩებში დასარგავად.

დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის ეზოში, ამავე ეკლესიის მოძღვრის მამა ნიკოლოზის მონაწილეობით დაირგო 80 ძირი ბზის ნერგი.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან და სკოლის მოსწავლეებთან ერთად გამწვანებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გივი ბუჩუკური, თვით გამგებელი დავით ლეკიშვილი, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ნიკოლოზ ბენიაიძე, გელა თეთრაული, გიორგი მოდებაძე, მურად ოზაშვილი და სხვები.

ერთი კვირის განმავლობაში, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, დედოფლისწყაროელებმა ტირიფის, ფიჭვის, ნეკერჩხლის და ცაცხვის ნერგები დარგეს... როგორც ვთქვით, რაიონის თავკაცებს განსაკუთრებით ომის ვეტერანები ეხმარებოდნენ. ვეტერანებმა ამ ნერგებს მათი სიცოცხლის გამგრძელებელი ნერგები უწოდეს.

ნანა ჭიჭინაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ყველა საქმეში არის აზარტი. მაგრამ ისეთი აზარტი, როგორიც დაზვერვაშია, რომელსაც ვემსახურებოდი, არა მგონია, რომელიმე სხვა სფეროში იყოს. ვინც ერთხელ „მოიწამლება“ ამ საქმით, ველარასოდეს უღალატებს

№ 88. ოთხშაბათი, 9 მაისი. 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

ლეკთა შეიარაღებული დაპირისპირება ყვარელში

ყვარლის რაიონის სოფელ სარუსიოში მოსახლეობას შორის სიტყვიერი შელაპარაკება მასშტაბურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ყვარლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარემ კობა ბურკიშვილმა საუბარში განაცხადა, რომ აღნიშნული სოფელი, ძირითადად ლეკი მოსახლეობით არის დასახლებული, რომელთაც გარკვეული ვანდალური დაჯგუფებები აქვთ შექმნილი.

— ეს იყო ორ ლეკურ დაჯგუფებას შორის არსებული კონფლიქტი. ინციდენტი ფატალური შედეგით არ დასრულებულა. დაზარალებულებს ადგილზევე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება,— განაცხადა კობა ბურკიშვილმა.

დაპირისპირების დროს, მხარეებმა ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, სხვადასხვა სახის ბლაგვი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღები გამოიყენეს. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა 15 ადამიანზე მეტმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

სპორტის სასახლეს ახალი მფლობელი ჰყავს

თბილისის მერიაში სპორტის სასახლის ინვესტორისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა. ცერემონიალს დაესწრო ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი და „ლოჯიქ-გრუპის“ ხელმძღვანელობა.

შეგახსენებთ, სპორტის სასახლის დროებით მფლობელობაში გადასვლასთან დაკავშირებით, გამართულ ტენდერში, მხოლოდ ერთმა კომპანიამ — „ლოჯიქ-გრუპმა“ მიიღო მონაწილეობა, რომელსაც სპორტის სასახლე 30-წლიანი მართვით უნდა გადაეცეს.

კონკურსის პირობების თანახმად, ახალ მფლობელს სპორტის სასახლისთვის ადრინდელი პროფილის შენარჩუნება ევალება. ასევე, მისი განვითარებისა და რეაბილიტაციისთვის 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცის განხორციელება მოეთხოვება. ამასთან, 2 000 000 აშშ დოლარი 2007 წლის 1 სექტემბრამდე უნდა ჩაიდოს.

სპორტის სასახლის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 1 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს.

ჯი-ეიჩ-ენი

დააკავეს ქუთაისის ყოფილი მერი

ცნობილი გახდა, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა ქუთაისის ყოფილი მერი გიგა ჩოგოვაძე დააკავა. დაკავება გუშინ ქუთაისში მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, მას პროკურატურა ქუთაისის მერობამდე ჩადენილი ქმედებების გამო ედავება.

კერძოდ, საუბარია, 2002-2003 წლებზე, როდესაც ჩოგოვაძე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა.

არსებობს ვერსია, რომ მისი კუთვნილ ფირმას „ენგურჰესიდან“ ჯართი გაჰქონდა.

ჩოგოვაძე ქუთაისის მერობიდან ძვირადღირებული მანქანის შეძენასთან დაკავშირებული სკანდალის გამო გადადგა.

ინტერპრესნიუსი

◎ კაცი „უხილავი ფრონტიდან“



უშიშროების გენერალ-მაიორს ანზორ მაისურაძეს ურჩიეს — რაც უფრო მალე დაგავიწყდება, რაც იყო, უკეთესიაო

მაგრამ მას ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს, თუმცა, მემუარების წერას არ აპირებს. ამიტომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ შანსი, რაც მოგვცა — დაგვთანხმდა ინტერვიუზე

— ბატონო ანზორ, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადეთ, რომ საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლები ეროვნული სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ისინი ემსახურებოდნენ სსრკ ინტერესებს, რაც შეუთავსებელია ეროვნულობის პრინციპებთან. როგორ ავხსნათ ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი პოზიციის ერთიანობა?

— საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა 90 პროცენტი ეროვნებით ქართველი იყო. თავისთავად ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. ჩვენ, ვინც 60-იან წლებში უშიშროების სისტემაში მივედით, საქართველოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა, საქართველო ჩვენთვის იყო ყველაფერი. რა თქმა უნდა, ძნელი იყო იმ მითითებების, დირექტივების, რომლებიც სავალდებულო იყო შესასრულებლად, შეთავსება ეროვნულ ინტერესებთან, მაგრამ მათ შერბილებულ ხასიათს ვაძლევდით, არ ვასრულებდით ისეთი სიმკაცრით, როგორც ცენტრი მოითხოვდა.

ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ არ დაჩაგრულიყვნენ ის დისიდენტები, რომლებიც, მართალია, ფარულად, მაგრამ აქტიურად ქადაგებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

— მაგალითად?

— ახლავე მოგახსენებთ: 1978 წელს, როცა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს, გააწამეს იმის გამო, რომ ისინი ინფორმაციას აწვდიდნენ მოსკოვში აშშ ოფიციალურად ცნობილ ორ მზვერავს. ეს ისჯებოდა სამშობლოს ღალატის მუხლით, რაც გულისხმობდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთას. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს მუხლი ანტისაბჭოთა პროპაგანდის მუხლით შეგვეცვალა, რაც 5 წლინადს ითვალისწინებდა. ჩვენი წინადადება კი იყო ასეთი, მაგრამ ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. და თუ გამოვიდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, რა გინდ მოულოდნელიც გეჩვენოთ, პირდაპირ ვამბობ, ეს ალექსი ინაურის და ედუარდ შევარდნაძის დამსახურებაა.

— საკავშირო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, როგორც ცნობილია, სსრკ-ს დაშლის შემდეგ კრიმინალურ და ნახევრადკრიმინალურ სტრუქტურებში გადავიდნენ. მასობრივად არა, მაგრამ საკმაო რაოდენობით. ასეთი ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნებოდა?

— არა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მსხვილი კრიმინალური დაჯგუფებები საქართველოში არ იყო. მეორეც იმიტომ, რომ ჩვენთან ისეთი ხალხი მუშაობდა, ვინც ვერ გაბანდიტდებოდა. ღირსეული ადამიანები იყვნენ.

— შეერთებულ შტატებში, კარგა ხანია, წერენ წიგნებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მუშაობის შესახებ. წერენ პროფესიონალი მზვერავები. მაგალითად, რუსულად ითარგმნა მილოდ ბირდენისა და ჯეიმს რაიზენის წიგნი „მთავარი მოწინააღმდეგე. ცსს კგბ-ს წინააღმდეგ“, სადაც ისეთ კონკრეტულ თემებსა და საკითხებზეა საუბარი, მათ შორის, სსრკ-ში, ავღანეთში აგენტურულ საქმიანობაზე, რაც უმკაცრესად იყო გასაიდუმლოებული. თქვენ ხომ არ აპირებთ, ჩაუჯდეთ მოგონებების წიგნს?

— ამ ბოლო დროს მართლაც ბევრი წიგნი გამოდის აშშ-ის და სსრკ-ს სპეცსამსახურების მეტოქეობისა და ბრძოლის შესახებ. ეს სტრუქტურები, რა თქმა უნდა, ასრულებდა თავიანთი ქვეყნების ხელმძღვანელობის, პოლიტიკური ელიტის დაკვეთებს. კარგად ასრულებდა. ისტორიული რეალობაა, რომ სსრკ უშიშროების სამსახური ამერიკელებთან დაპირისპირებაში უძლური აღმოჩნდა და ხელში შემოადნა უზარმაზარი იმპერია — სოციალისტური ბანაკი. წერენ თავიანთ წარმატებებზე ამერიკელები, მაგრამ რაც გინდა დაწერონ, ვერასოდეს ბოლომდე ვერ იტყვიან იმას, რაც არის გაკეთებული.

საქართველოში კი, რაც მასალა იყო არქივებში, გაქრა — წაიღეს, დაწვეს, დაიკარგა. არქივში ჩაუხედავად კი ვერ დაწერ. მეორეც, საქართველოს უშიშროება ნაწილი იყო საკავშირო სისტემის, მისი მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი. ამიტომ იმ დიდი დაპირისპირების ჩვენი თვალსაწიერიდან დანახვა ერთობ ძნელი ამოცანაა.

ჩემს მოგონებებს რაც შეეხება, ამ საკითხზე ბევრი მიფიქრია. ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: რაც უფრო მალე დაივიწყებ იმას, რაც იყო, უკეთესიაო. მეც ვცდილობ დავივიწყო.

— და მიუხედავად ამისა, იქნებ, გაიხსენოთ, რა იყო იმის მიზეზი, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს საქართველოს უშიშროების თანამშრომლებმა დატოვეს ის ისტორიული მიტინგი?

— უშიშროების ყველა ოფიცერი, სატაბელო იარაღით შეიარაღებული, პრაქტიკულად სადღეღამისო რეჟიმში ვმუშაობდით. 9 აპრილი რომ თენდებოდა, სადღაც 3 საათზე გასცეს ბრძანება, რომ არანაირი გართულება მოსალოდნელი არ იყო და ნება დაგვრთეს შინ წავსულიყავით. ცხადია, გაგვიხარდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიტუაცია დამშვიდდა და, მეორეც, იმიტომ, რომ ფეხზე ძლივს ვიდექით ორი დღე-ღამის უძილოები.

კიდევ კარგი, რომ წავედით, თორემ იმ ჩეხვას რომ შევსწრებოდით, ცხადია, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მოითმენდა და ზედ მიაკლავდა სამხედროს, რომელიც ნიჩბით თავს უპობდა უმწეო ქართველ ახალგაზრდას. ძნელი სათქმელია, რა უბედურებაც დატრიალდებოდა მაშინ იქ. ჩვენ რომ თავს შევაკლავდით, ფაქტია, მაგრამ იმ რუს მედესანტეებს რა შეაჩერებდა!

— წიგნში, რომელიც ვახსენეთ, დეტალურად არის მოთხრობილი იმის თაობაზე, თუ როგორ ეხმარებოდა ამერიკა ავღანელ მოჯაჰიდებს. ახლა აშშ თვითონ იბრძვის ავღანეთში, ომობს. რით ავხსნათ ასეთი „ფერიცვალება“?

— იმით, რომ შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. ავღანეთში ვერავინ ვერ დაიწყებდა ომს სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების დაპირისპირების პერიოდში, ვერც ჩვენ, ვერც ამერიკა ერთმანეთის აზრისა და პოზიციის გაუთვალისწინებლად, ანგარიშის გაუწევლად.

თავის დროზე საბჭოთა კავშირმა და, უწინარეს ყოვლისა, დაზვერვამ მოახერხა ამერიკელების ჩათრევა ვიეტნამის ომში. სამაგიეროდ აშშ-მ საბჭოთა კავშირს გადაუხადა იმით, რომ ავღანეთის ომში ჩაითრია. ეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იყო.

ასეთივე შეცდომაა ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით ამერიკელების შესვლა ავღანეთში, ალკაიდას წინააღმდეგ საბრძოლველად.

რა შედეგი მივიღეთ? შეიძლება კი რაიმე შედეგებზე ლაპარაკი?

მიმაჩნია, რომ ავღანეთსა და ერაყში შესვლა დაბლა სცემს აშშ სახელმწიფოს ავტორიტეტს მთელ მსოფლიოში.

დემოკრატიის დამყარება ერაყში შეუძლებელია. მე იქ ვარ ნამუშევარი და ვიცნობ იქაურ სიტუაციას, ტრადიციებს, ფასეულობებს, მენტალიტეტს — შეიხებიდან დაწყებული ფელახებით დამთავრებული. სხვა სამყაროა, სხვა ისტორიული რეალობა. მეეჭვება, რომ დასავლეთის ფასეულობებმა ამ საუკუნეში შეაღწიოს აღმოსავლეთის ამ ქვეყანაში. და არა მარტო ამ ქვეყანაში.

ანზორ მაისურაძე დღეს — 9 მაისს, გამარჯვების დღეს — 70 წლისა გახდა. ვკითხე საუბრის დასასრულს: 70 წლის გადასახედიდან, პირადი და ისტორიული გამოცდილებით გამდიდრებული კაცისთვის გზის არჩევა რომ შეეთავსებინათ, აირჩევდა თუ არა იმავეს? და ერთიც: გამარჯვების დღესთან დაკავშირებით — გრძნობს თუ არა იგი თავს პროფესიაში გამარჯვებულად?

აი, რა მიპასუხა მან:

— ყველა საქმეში არის აზარტი. მაგრამ ისეთი აზარტი, როგორიც დაზვერვაშია, რომელსაც ვემსახურებოდი, არა მგონია, რომელიმე სხვა სფეროში იყოს. ვინც ერთხელ „მოიწამლება“ ამ საქმით, ველარასოდეს უღალატებს. სხვას ვერ შეიყვარებს. მამაკაცური აზარტია. ვაჟკაცური. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შენი სამშობლოს უშიშროებას ემსახურები... ამიტომ ვამბობ — იმავე გზას ავირჩევდი უდავოდ!

ახლა მეორე შეკითხვაზეც გიპასუხებთ: სამსახური 24 წლისამ ოპერრწმუნებულად დავიწყე, გავიარე თითქმის ყველა საფეხური და გავხდი უშიშროების მინისტრი. მივედი ლეიტენანტი და გავხდი გენერალ-მაიორი. რასაც მივაღწიე, რა თქმა უნდა, წარმატებულია. მაგრამ ძალიან მწყდება გული, რომ ეს ჩემი ცოდნა და გამოცდილება დღეს არავის სჭირდება.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

უცხოური პრესა

● სააკაშვილმაც განაცხადა, რომ „ჩვენ ვიცნობთ“ ყველა უცხოელ ჯაშუშს და შესთავაზა ამ ადამიანებს, რომ მკაცრი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, ნებაყოფლობით გამოცხადებულიყვნენ სამხილი მასალებით. ჯაშუშები კვლავ ვერ აღმოაჩინეს

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

დემოკრატია – ქართულად

ქართველმა ხალხმა ქვეყნის წინანდელი პრეზიდენტი და მისი გუნდი ჩამოაშორა პოლიტიკას არა იმიტომ, რომ უპირატესობას ანიჭებდა ამუამინდელ ხელისუფლებას, არამედ მხოლოდ უკეთესი და ღირსეული ცხოვრების იმედით. სამწუხაროდ, ეს იმედები არ ახდა, პირიქით: მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრება სულ უფრო მძიმე ხდება.

საშუალო-სტატისტიკური ქართველის შემოსავლების ზრდა ვერ ეწევა საქონლისა და მომსახურების საფასურს, რომელიც სულ უფრო და უფრო ძვირდება. დირექტიული მეთოდების წყალობით, დოლარი უფასურდება ეროვნული ვალუტის მიმართ. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღატაკის ზღვარზეა მიყვანილი და იგი, ძირითადად, თავს ირჩენს ნათესავებისა და ახლობლებისგან გამოგზავნილი ფულით, რომლებიც სამუშაოდ გაემგზავრნენ ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ეკონომიკის რეალური სექტორი გაჭიანურებულ კოლაფსს განიცდის, ქვეყანაში არ მცირდება უმუშევართა რიცხვი. ბიუჯეტი ძირითადად ივსება საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრების გზით. უცხოელი ინვესტორები ფრთხილობენ და არ ჩქარობენ საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სახსრების დაბანდებას. ასეთ პირობებში ხელისუფლებამ აირჩია ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ფრიად საეჭვო გზა: ტყის მასივებით დაწყებული და ბუნებრივი წიაღისეულებით დასრულებული ყველა რესურსების ტოტალური გაყიდვა.

„როცა ადამიანებს უქმნიან ისეთ პირობებს, რომლებშიც მხოლოდ ცხოველი თუ შეიძლება ამყოფო, მათ ისღა დარჩენიათ, რომ ან აჯანყდნენ, ან მართლაც ცხოველებად იქცნენ“. წერდა თავის დროზე ფრიდრიხ ენგელსი.

„ქვეყანა, მთავრობა და სამეურნეო ცხოვრება არის მხოლოდ იმის საშუალება, რომ შეივსოს ღირებულებებით ხალხის ცხოვრება. მთავრობა მხოლოდ ხალხის მსახურია და ასეთად უნდა დარჩეს ყოველთვის. როგორც კი ხალხი გახდება მთავრობის დანამატი, ძალაში შედის შურისგების კანონი, რადგან ასეთი თანაფარდობა არ არის ბუნებრივი, პირიქით, იგი უზნეო და არაადამიანურია“. ასეთად წარმოედგინა ამერიკის შეერთებული შტატები და ნებისმიერი სხვა ცივილიზებული სახელმწიფო ჰენრი ფორდს. ამასთან, მსოფლიო ტექნოლოგიური რევოლუციის ამ მამამთავარს ახალი არაფერი უთქვამს. მან, უბრალოდ, შემოქმედებითად გაიაზრა რევოლუციების – სოციალურ რევოლუციათა მეორე მამამთავრის – ენგელსის პესიმისტური დილემა და ხელისუფლებას შესთავაზა „ზედა“ და „ქვედა“ ფენების მშვიდობიანი თანაარსებობის ოპტიმისტური ალტერნატივა.

აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ შეერთებული შტატების მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკონიც, რომლის მმართველობის პერიოდში ყველა სახელმწიფო მოხელე – პრეზიდენტი იქნებოდა იგი, თუ რიგითი კლერკი – იყო მხოლოდ დაქირავებული პერსონალი, რომელსაც ამომრჩეველი აკისრებდა უფლებამოსილებათა ნაწილს.

ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ახერხებს ვითარების განმუხტვას. საოცარია, მაგრამ ყოველივე ეს ხდება თითქმის ორმოცი წლის წინანდელი ავტორების მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით. იგულისხმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. მაშინ, მისი ხელდასხმით, სსრ კავშირში პირველად შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზისა და ფორმირების ცენტრი. მასში სამუშაოდ იწვევდნენ ახალგაზრდა და დაუკომპლექსებელ, შეიძლება ითქვას, შეუპოვარ ადამიანებს: სოციოლოგებს, ჟურნალისტებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტებს. მათ ბევრი რამის უფლება ჰქონდათ – ანტისაბჭოური შინაარსის ანეკდოტების მოყოლა იქნებოდა ეს, თუ იმ დროისთვის აკრძალული ლიტერატურის კითხვა. მთავარი იყო, რომ მათ შეექმნათ პარტიისა და მისი რესპუბლიკური შტაბისათვის სასარგებლო პროდუქტი. და ამას ახერხებდნენ კიდეც.

ცენტრის რეკომენდაციებით, უწინარეს ყოვლისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხორციელდებოდა ეროვნებათშორისო დაძაბულობის შენელებისათვის გამიზნული კამპანიები, ეწყობოდა ათასგვარი საზეიმო სანახაობები, სხვა აქციები, რომელთა მიზანი იყო „კომუნისტური პარტიის როლის განმტკიცება საბჭოთა ადამიანის სულიერ აღზრდაში“.

თითქმის იგივე ხდება თბილისშიც. მაგრამ ახლა ახალგაზრდებს „ზრდიან“ „დემოკრატიის აყვავებასა“ და ხელისუფლების სიყვარულის და მისდამი ერთგულებაში მმართველი პარტიის როლის განმტკიცების სულისკვეთებით.

„საქართველოში მოქმედებს კრემლის და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის 120 ათასი აგენტი, და მათ ყველას ვიცნობ!“. ასეთი განცხადება გააკეთა 1991 წელს პრესკონფერენციაზე ზვიად გამსახურდიამ.

ორი წლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატებს განუცხადა: „საქართველო წალეკა სხვა ქვეყნის აგენტურამ“. ალბათ, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რომელ ქვეყანას გულისხმობდა იგი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შევარდნაძემ აღნიშნა: „მას შემდეგ ვითარება მხოლოდ ოდნავ თუ შეიცვალა, თანაც, შესაძლოა, უარესობისკენ“. და თავისი აზრი განავრცო: „საქმე ის არ არის, აქვთ თუ არა ამ ადამიანებს აგენტებისთვის გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტები... ყოველივე ეს გამოიხატება მათი მოქმედებით და მისწრაფებებით“.

მართალია, საქართველოში, ჯერჯერობით, ვერ დაუფიქსირებიათ ლუბიანკის მოწმობის მქონე პირების ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოებში შეღწევის მცდელობა, მაგრამ წინამორბედთა გამოცდილება ქვეყნის ამჟამინდელ ლიდერსაც გამოადგა. სააკაშვილმაც განაცხადა, რომ „ჩვენ ვიცნობთ“ ყველა უცხოელ ჯაშუშს და შესთავაზა ამ ადამიანებს, რომ მკაცრი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, ნებაყოფლობით გამოცხადებულიყვნენ სამხილი მასალებით. ჯაშუშები კვლავ ვერ აღმოაჩინეს. და მაშინ სცადეს ასეთი ადამიანების „გამომჟღავნება“, მაგრამ არც ამას მოუტანია დიდი შედეგი, რადგან ეს კამპანია მხოლოდ ოპოზიციონერებს შეეხო.

ვერც რუს სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებით შარშან აგორებულმა სკანდალმა მოიტანა სასურველი შედეგი და ვერ გახდა ქართული კონტრდაზვერვის გამარჯვების დამაგვირგვინებელი აკორდი. შევარდნაძემ სამი შეთქმულების მხილება შეძლო. ეს რეკორდი სააკაშვილისთვის, ჯერჯერობით, მიუწვდომელია, რომლის ანგარიშზე მხოლოდ ერთადერთი ასეთი შემთხვევაა. მაგრამ გულუბრყვილო ადამიანების რიცხვი საქართველოში სულ უფრო მცირდება. ადამიანებს თავიანთი პრობლემებიც საკმარისად აქვთ, და სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ვერ მოხერხდება ელექტორატის გაბრიყვება ჯაშუშებზე და მტრებზე მისი ყურადღების გადატანის გზით.

ეს ის ბურჯებია, რომლებსაც ეყრდნობა საქართველოს ხელისუფლება. იგი ცდილობს დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის შეგნება ეგრეთ წოდებული სხვაგვარად მოაზროვნეებისგან. ახლა თბილისში მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ ოპოზიციურს ერთადერთ გაზეთს და ერთ სატელევიზიო არხს. დანარჩენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ან ინარჩუნებენ აშკარა ნეიტრალიტეტს, ან სრულ ლოიალურობას იჩენენ ქვეყნის მთავრობის ამჟამინდელი კურსის მიმართ.

უფრო მეტიც, ერთ-ერთი უცნობი ცენტრის რეკომენდაციით უწევენ პროპაგანდას ავტორიტარიზმის დამყარების აუცილებლობას. ახალი ამბების გამოშვებები სავსეა კრიმინალური ქრონიკით, ტელედამატიმრებებით, რამაც, მავანთა აზრით, ადამიანებს უნდა ჩაუნერგოს იმის რწმენა, რომ აუცილებელია „მკაცრი და სასტიკი ბრძოლა“. ეკონომიკური სიახლეების გასაშუქებლად დრო თითქმის აღარ ყოფნით. ქვეყანაში არის მთელი რიგი გამოცემები და ტელეარხები, რომლებშიც ეკონომიკური რუბრიკა თვეში ორჯერ-სამჯერ თუ გამოჩნდება.

საეთერო დრო თითქმის მთლიანად დაიკავეს „საპნის ოპერებმა“ და სამხრეთამერიკულმა სერიალებმა, რომლებიც უხვადაა შეზავებული რეკლამებით და ვიდეოკლიპებით.

რას გააწყობ, ყველა იმ ქართულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რომლებმაც სცადეს არ აეწყოთ ფეხი ხელისუფლებისთვის, წარმოექმნათ სერიოზული ფინანსური და სხვა სახის პრობლემები, რის გამოც მოუწიათ ან დამორჩილებოდნენ დროის მოთხოვნას, ან საერთოდ, დაიხურნენ კიდეც. ეს, ასეთია „ქართული დემოკრატიის“ ტრიუმფი.

(იბეჭდება შემოკლებით)

ალბერტ ვენალაინენი

РОСБАЛТ

სააკაშვილი: ესტონეთი საქართველოს პარტნიორია და მტკიცედ უჭერს მას მხარს

ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 7 მაისს ესტონელ კოლეგასთან თოომას ჰენდრიკ ილვესთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ. ესტონეთის პრეზიდენტი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება თბილისში. მიხეილ სააკაშვილმა კვლავ გაუსვა ხაზი ესტონეთის ლიდერის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ორ ქვეყანას შორის დამყარებულია „ემოციური კავშირი“.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა ილვესმა აღნიშნა: ესტონეთი ამაყობს იმით, რომ დაამყარა ახლო ურთიერთობა საქართველოსთან, და დასძინა, რომ არსებობენ მთელი რიგი ქვეყნები, რომლებსაც შურთ საქართველოს წარმატებების.

შეეხო რა ესტონეთის ხელისუფლების მიერ „ბრინჯაოს ჯარისკაცის“ მონუმენტის ტალინის სამხედრო სასაფლაოზე გადატანის შედეგად წარმოქმნილ სიტუაციას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო შოკირებულია რუსეთის პასუხით „იმ აჟიოტაჟზე, რომელიც უკავშირდება ესტონეთში საბჭოთა მეომრის ძეგლს“.

ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მრავალი მიმართულებით ესტონეთი არის სამაგალითო საქართველოსთვის, და თბილისი აქტიურად თანამშრომლობს ტალინთან ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სფეროში. გარდა ამისა, საქართველო აქტიურად იყენებს ესტონეთის ეკონომიკურ მოდელს და იმ გამოცდილებას, რომელმაც ტალინმა შეიძინა განათლების სისტემაში.

საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურს მიაჩნია, რომ საქართველო უთუოდ მიაღწევს ისეთივე წარმატებებს, როგორსაც უკვე მიაღწია ესტონეთმა, თუმცა ამას სჭირდება დრო.

REGNUM

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

	ობიექტის დასახელება მისამართი	შენობა-ნაგებობის დახასიათება	ფართი კვ.მ	მიწა წილობრივად კვ.მ (საერთო სარგებლობაში)	საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	„ბე“ აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	საიჯარო ქირა	მონაწილის ბილეთის ღირებულება ლარი
1(1)	ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზ. № 18, კორპ. № 2	9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფი	154,79		27000	1000	5000		50
2(2)	ისანი-სამგორის რაიონი, თეთრი ხევის პესის ქ. № 5-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (ნაგებობა № 1-ში I სართული 174, 68 კვ.მეტრი (მ.შ. 28,78 კვ.მეტრი ფართობი (ოთახი № 1) დატვირთულია სერვიტუტით), II სართული- 229,06 კვ.მეტრი, ნაგებობა № 2 საერთო ფართით 30, 8 კვ.მეტრი	შენობა-ნაგებობა № 1- 2 სართულიანია, ნაგებობა № 2-1 სართულიანია		1018,11	90000	3000	10000		50
3(6)	გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის დასახ. „ა“ მკრ. კორპ. № 53	9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული	148,03		40000	1000	8000	1984 ლარი	50
4(7)	ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი, ზ/პლატო„სავაჭრო ცენტრი“, კორპ. № 50ა (ყოფილი საპარიკმახერო № 108)	II სართულიანი სავაჭრო ცენტრი (II სართული)	72,62		15000	500	3000		50
5(8)	ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი, ზ/პლატო„სავაჭრო ცენტრი“, კორპ. № 50ა (ყოფილი ამხანაგობა „სალხინო“)	II სართულიანი სავაჭრო ცენტრი (სარდაფი)	91		15000	500	3000		50
6(9)	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივი, VI კვ. კორპ. 20	14 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული	36,39		17000	500	4000		50
7(10)	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ნ.ჩხეიძის. ქ. № 24 (ლიტერ „ბ-3“)	ერთ სართულიანი ნაგებობა (I სართული)	3,49		1500	200	300		50
8(11)	ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზ. № 98/38-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული ყოფილი სამშენებლო რაზმის შენობა ნაგებობა № 1 (823 კვ.მეტრი) და ნაგებობები № 2,№ 3, № 4	ნაგებობა 1, ნაგებობები № 2,№ 3, № 4	823	1303	120000	3000	20000		50
9(13)	შპს „ტურისტრემშენი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი (საწესდებო კაპიტალი 2590 ლარი, იურიდიული მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ.. № 80)	შენობა-ნაგებობა არ ერიცხება			1000	100	200	2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება არ ერიცხება, დებიტორული დავალიანება 542 ლარი	20
10(14)	შპს „ბიზნესი და საინვესტიციო პოლიტიკა-ბიზინვესტი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი (საწესდებო კაპიტალი 2379 ლარი, იურიდიული მისამართი: რუსთაველის გამზ. № 29)	შენობა-ნაგებობა არ ერიცხება			700	100	200	დებიტორული და კრედიტორული დავალინება არ ერიცხება	20
11(15)	შპს „ცისარტყელა“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი (საწესდებო კაპიტალი 3250 ლარი, იურიდიული მისამართი: წერეთლის გამზ. № 110)	შენობა-ნაგებობა არ ერიცხება			3000	200	600	2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული	20
								დავალიანება არ ერიცხება, კრედიტორული დავალინება შეადგენს 617 ლარს	

შენიშვნა: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრივატიზების პროცესი გაგრძელებულია 12.04.07 წ.-დან 12.04.08 წ.-მდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას. მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 2 მაისის №15 (514)-ში.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

1(14)	საქართველოს პარლამენტის აპარატი	გაზ-31029 სახ.№ADK-127	1995	750	50	250
2(37)	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	ვაზ-21063 სახ.№POL-263	1990	375	50	100
3(10)	საქართველოს პარლამენტის აპარატი	გაზ-31 სახ.№ABK-553	1992	475	50	140

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 18 მაისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 18 მაისს 16:30 საათზე.

33(52)	საქართველოს კონტროლის პალატა	გაზ-3110 სახ.№SOF-105	1997	700	50	210
20(13)	საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	BMW -524 სახ.№VIP-400	1988	1450	100	400

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 25 მაისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 25 მაისს 16:30 საათზე.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ „გამყიდველის“ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოში);

ბ. „ბე“-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები (ასლებით);

გ. მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები (ასლებით) – თითოეული ლოტისათვის 10 ლარი;

დ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლით);

დ. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ავტომანქანებზე და ძირითად საშუალებებზე საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას. მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 2 მაისის №15 (514)-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

შენიშვნა: მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრა 10 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 9 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 8 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას. მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 2 მაისის №15 (514)-ში.

№	ბალანს მფლობელი ორგანიზაცია	ავტომობილის მარკა სახ. №	გამოშვების წელი	საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი	ბიჯი აშშ დოლარი	„ბე“ აშშ დოლარი
1	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	მერსედესი-126 სახ.№GIA-310	1981	500	50	150
2	სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“	HYUNDAI ACCENT 1.5 GLS სახ.№ACB-711	1999	900	50	270
3	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	იუ -2715 სახ.№ADT-940	1991	125	50	38
4	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	გაზ-31029 სახ.№ZUR-447	1996	1000	100	300
5	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	გაზ-31029 სახ.№MWM-230	2001	1950	100	590
6	ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური	ფოლკსვაგენ პასატი 1.8 სახ.№VIP-108	1996	1550	100	470
7	საქართველოს საგაერო საქმეთა სამინისტრო	ლინკოლნ-თაუნქარი სახ.№EEU-283	1993	1400	100	420
8	საქართველოს საგაერო საქმეთა სამინისტრო	ფოლკსვაგენ-კარაველა(მიკროავტობუსი) სახ.№NON-279	1987	1000	100	300
9	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	ვაზ-21213 სახ.№AEV-904	2000	875	50	270
10	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	ჰიუნდაი სონატა სახ №ACT-315	1998	1000	100	300
11	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	მიცუბისი გალანტი სახ №ADT-381	1995	1800	100	550
12	საქართველოს გენერალური პროკურატურა	ოპელ-ომეგა2.0 სახ №AED-845	1991	600	50	180
13	საქართველოს გენერალური პროკურატურა	კია სეფია SLX სახ №HHH-303	1997	775	50	240
14	მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა	როვერ-621 სახ №QQO-016	1997	2370	100	711

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

შენიშვნა: არასაცხოვრებელი ფართი გაცემულია 2005 წლის 13 ივლისიდან იჯარის უფლებით 5 წლის ვადით, წლიურად 200 აშშ დოლარის გადახდით (შენიშვნა გასათვალისწინებელია ლოტი №2-სთვის).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06.წ. № 16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 8 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 7 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას. მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ.93-37-64

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 2 მაისის №15 (514)-ში.

	ობიექტის დასახელება მისამართი	შენობა-ნაგებობის დახასიათება	ფართი კვ.მ	მიწა წილობრივად კვ.მ (საერთო სარგებლობაში)	საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	„ბე“ აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	საიჯარო ქირა	მოლიბილი
1	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიღმის მასივი, III კვარტალში მდებარე მიწის ნაკვეთი და მაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ატს-ის და რესტორან „ბაბილოს“ შორის)	2 სართულიანი ცალკე მდგომი შენობა	666,67	908	150000	5000	20000		50
2	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, გოგოლის ქ. № 28	2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფი	12,42		2300	200	500		50
3	გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის ხევი, კორპ. № 8ა	9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული	54.08 (ბ.შ. შემოსასვლელი 9,71 კვ.მეტრი დატვირთულია სერვიტუტით)		10000	500	2500		50
4.	ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, გ.ბრწყინვალეს ქ. № 15	9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული	183,38		45000	1000	9000		50
5	ისანი-სამგორის რაიონი, VIII ლეგიონის დასახ. № 31 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	ცალკე მდგომი შენობა	130,81	158	16000	1000	4000		50

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამონერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. სსიპ ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 0,221 ტონა (მ. შ. 0,053 ტ. თუნუქი, 0,168 ტ. შავი ლითონი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ხოლო ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 15 აშშ დოლარი (მ. შ. ყოველ ერთ ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ ერთ ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში). „ბე“ 5 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 0,8 ტონა (მ. შ. 0,65 ტ. თუნუქი, 0,15 ტ. შავი ლითონი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ხოლო ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 15 აშშ დოლარი (მ. შ. ყოველი ერთი ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ ერთ ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში). „ბე“ 50 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. ქ. თბილისის №207 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 4 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

4. ქ. თბილისის №175 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 30 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 1200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

5. ქ. თბილისის №82 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 10 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 400 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

6. ქ. თბილისის №87 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 9 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

7. ქ. თბილისის №126 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 15 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 600 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

8. ქ. თბილისის №102 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 4,2 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

9. ქ. თბილისის №183 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 8 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

10. ქ. თბილისის №20 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 10,525 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 400 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

11. ქ. თბილისის №100 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 1,5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 30 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

12. ქ. თბილისის №164 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 3,105 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

13. ქ. თბილისის №117 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 8 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

14. ქ. თბილისის №160 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 4,032 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

15. ქ. თბილისის №67 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 8 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

16. ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული თუნუქის სავარაუდო წონაა 13 ტონა. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბე“ 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

17. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 5 ტონა, ხოლო უჟანგავი ფოლადის სავარაუდო წონაა 0,05 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, უჟანგავი ფოლადის 0,05 ტ.-ის ღირებულება 61 აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე განისაზღვროს 20 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში (მ. შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ 100 კგ. უჟანგავ ფოლადზე 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში). „ბე“ 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით.

18. საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,065 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 2 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06 წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 7 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 6 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას. მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 2 მაისის №15 (514)-ში.

სპორტი

● მოახლოვდა ქართველ გულშემატკივართათვის საფიცარი თარიღი — 13 მაისი. ზედიზედ მეორედ სწორედ ამ დღეს გადაწყდება სფფ ხელმძღვანელის ბედი

◎ ორბიტაზე

ჰოკეი თავდაყირა

ავსტრიელებმა სპორტის ახალი სახეობა გამოიგონეს — ჰოკეი ყინულქვეშ. მოთამაშეები ჩვეულებრივ ყვანჯსა და შაიბას იყენებენ, მინდვრად კი — ყინულით დაფარულ ტბას. ჰოკეისტები ყინულქვეშ ყვინთავენ და მეტოქის კარში შაიბის გატანას ცდილობენ. ტრადიციული ჰოკეისგან განსხვავებით შაიბა სპორტსმენების ფეხებთან კი არა, თავზემოთაა. საერთოდ თამაში ისე გამოიყურება, თითქოს მოედანი გადმოაყირავესო.

წყალქვეშა ჰოკეისტები აკვალანგებს არ იყენებენ, ყვინთავენ სუნთქვის შეჩერებით. მაყურებლებისათვის რეპორტაჟი ყინულქვეშეთიდან მიმდინარეობს. ეს თამაში ადგილობრივმა ექსტრემალებმა მოიგონეს, რომელთაც უკვე ეცოტავებათ სამთო-სათხილამურო ტრასებზე გამოყოფილი ადრენალინი.

უკვე გაიმართა ყინულქვეშეთის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, ჩემპიონები კი ფინელები გახდნენ, გადაუსწრეს რა მასპინძელ ავსტრიელებსა და ჩეხებს.

ყაზახები ევერესტზე

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი დაიპყრეს ყაზახმა მთამსვლელებმა ვასილ პივცოვმა და მაქსუტ ჟუმაევმა. თითოეული მათგანისთვის ეს მეთერთმეტე დაპყრობილი 8-ათასიანი მწვერვალია. ყაზახი დენის ურუბკო კი ავიდა მწვერავლ ჯულაგირზე (8167 მ.). ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა 70 წლის რუსეთელი ბორის კორშუნოვიც, რომელმაც 7100 მეტრამდე მიაღწია, ღამე ღია ცის ქვეშ გაათენა და ურუბკოს დახმარებით დაბრუნდა უკან.

პოდიუმზე მხოლოდ კენიელები

თითქოს ტრადიციად იქცა, რომ გრძელ მანძილზე სირბილში მხოლოდ კენიელები უნდა იმარჯვებდნენ. ჩვენ ამაზე ადრეც ვწერდით.

ახლა კი ბერლინში ტრადიციულ გარბენზე „ბერლინის 25 კმ.“ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ქალთა და ვაჟთა ასპარეზობისას მხოლოდ კენიელები ავიდნენ. ვაჟებიდან — მაკაუ — 1.14.22, კიპლაგატი — 1,15.24 მ. კოეჩი — 1.15.47. ქალებში კი — ჩეპლჩირჩირი — 1.25.37, არუსეი — 1.26.15, ჩემიორი — 1.29.58.

კრაკოვში საერთაშორისო მარათონზე კენიელმა მ. კოსგეიმ იმარჯვა. ედინბურგშიც ტრადიციულ საგზაო გარბენში კენიელმა მაჩარინიანგმა იპირველა.

რაო, სამი მსაჯი არ ყოფნის?!

უნებლიეთ ასეთი კითხვა დაგებადებათ, როდესაც შეიტყობთ ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის განცხადებას, რომ აპირებს მატჩის მომსახურე გვერდითი მსაჯების (მსაჯები ხაზზე) რიცხვის გაორმაგებას. თანაც ექსპერიმენტის დაწყება უკვე ზაფხულში უნდა. თუკი ოთხი გვერდითი მსაჯის მუშაობა გაამართლებს, მაშინ ეს სიახლე საერთოდ დაინერგება ფეხბურთის პრაქტიკაში.

„ორი გვერდითი მსაჯი დროშებით აღნიშნავს ბურთის მიერ გვერდითი ხაზის გადაკვეთას, ხოლო დანარჩენი ორი მსაჯი უშუალოდ ჩაერევა თამაშში სასტვენების დახმარებით “, — აღნიშნავს ფიფას პრეზიდენტი. მისი თქმით, მსაჯობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მას თითქოსდა ეთანხმება უეფას ახალი პრეზიდენტი მიშელ პლატინი.

◎ სფფ

ვინ გადაწყვეტს?

მოახლოვდა ქართველ გულშემატკივართათვის საფიცარი თარიღი — 13 მაისი. ზედიზედ მეორედ სწორედ ამ დღეს გადაწყდება სფფ ხელმძღვანელის ბედი — ფედერაციის მეთორმეტე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას, 2005 წლის მსგავსად, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ უმასპინძლებს.

ალბათ, საინტერესოა, ვის უკავშირდება მომავალი ფორუმის ოტელოობა. ვითვალისწინებთ რა მკითხველის ცნობისმოყვარეობას, გთავაზობთ ხმის უფლების მქონე დელეგატთა ვინაობას.

გიორგი არველაძე — ს. კ. სიონი.
შოთა ბაქრაძე — ეზოს ფეხბურთის ასოციაცია.
მერაბ ბერიძიშვილი — ქალთა ფეხბურთის ფედერაცია.
ვახტანგ ბზიკაძე — ფ. კ. ამერი.
პაატა ბურჯალიანი — პროფესიული ფეხბურთის ლიგა.
თემურ გიგუაშვილი — შიდა ფეხბურთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
ამირან გოგიტიძე — ს. კ. ბათუმი.
გიორგი გოგოლაძე — ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
ოთარ გუნთაძე — მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია.
ლაშა დარასელია — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
გიორგი დევდარიანი — ს. კ. ბორჯომი.
კახა დევდარიანი — ფუტსალის ასოციაცია.
იაკობ ზაქარეიშვილი — გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
ვაჟა თოფურია — ს. კ. ლოკომოტივი.
მალხაზ კაკაურიძე — ს. კ. ვიტ ჯორჯია.
პაატა კიკვაძე — რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
ილია კოკაია — ს. კ. ზესტაფონი.
ოთარ კორღალიძე — თბილისის ფეხბურთის ფედერაცია.
სერგო კოტრიკაძე — ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი.
მიხეილ ლურსმანაშვილი — ს. კ. დილა.
გოჩა მამაცაშვილი — ს. კ. კახეთი.
მერაბ მეგრელაძე — იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
ჯამბულ მელაძე — ს. კ. ტორპედო.
ვაჟა ჟვანია — ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი.
გოჩა როსტომაშვილი — კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
ბადრი ქაჯაია — აჭარის ფეხბურთის ფედერაცია.
ამირან ღიბრაძე — ს. კ. დინამო.
ტარიელ შავერდაშვილი — ს. კ. ოლიმპი.
პაატა ჩხეიძე — ს. კ. მერანი.
ზურაბ ცერცვაძე — ს. კ. ჩიხურა.
დიმიტრი ჭანტურია — აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია.
პაპუნა ხაჩიძე — სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.
გოჩა ჯამარაული — მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია.

◎ კალათბურთი

ისევ ისინი

მაშ ასე, განმეორდა შარშანდელი ფინალი — XVI ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტ პლეი-ოფში ერთმანეთს რუსთავის „აზოტი“ და „ავიამშენი“ შეხვდებიან. ბრძოლა წლეულსაც სამ მოგებამდე გაგრძელდება, მათ პირველ დუელს კი 15 მაისს ქვემო ქართლის მეთაური ქალაქი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდმა სასურველ შედეგს სამ-სამი გამარჯვებით მიაღწია, მაგრამ თუ დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ყველა მატჩი აშკარა უპირატესობით დაასრულეს თბილისის „დინამოსთან“, მათ შორის გუშინ — 96:78, მათ მომავალ მეტოქეს საამისოდ მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა თსუ-ს წინააღმდეგ. უკანასკნელ დუელში, რომელიც 100:86 დამთავრდა, ზვიად ბაბიაშვილმა (36 ქულა), დავით ბარბაქაძემ და ბუბა კვიმსაძემ იყოჩაღეს.

◎ ფეხბურთი

რის გერმანია, რა ჰოლანდია

გემახსოვრებათ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ გულშემატკივარზე გერმანიის 17 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელმაც შარშან შემოდგომაზე თბილისსა და ბოლნისში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგო. ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ საშა ბიგალკე და მისი პარტნიორები ფინალური რაუნდის ჯგუფურ მატჩებშივე ჩაფლავდებოდნენ, მაგრამ სწორედ ასე მოხდა — მორიგ სტადიაზე ესპანელებმა და ფრანგებმა გააღწიეს.

მეორე ჯგუფში ასევე შერცხვა კიდევ ერთი ფავორიტი — ჰოლანდია, რომელსაც ინგლისმა და მასპინძელმა ბელგიამ გაუსწრო.

ნახევარფინალში ითამაშებენ: ბელგია — ესპანეთი, ინგლისი — საფრანგეთი.

◎ ჰოკეი

მაისობა ყინულზე

ჰოკეისტთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატს რუსეთის დედაქალაქი მასპინძლობს. წლევანდელ ფორუმზე, წინამორბედთა მსგავსად, ერთი დამთხვევაა აღსანიშნავი — პარალელურად მიმდინარე ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) პლეი-ოფების გამო მთელმა რიგმა ლიგიონერებმა მოსკოვში ჩასვლა ვერ მოახერხეს, რაც უარყოფითად მოქმედებს ტურნირის სანახაობრივ მხარეზე.

უკვე დასრულებული ორი ჯგუფური რაუნდის შემდეგ გათამაშების მთავარ ფავორიტად რუსეთის ნაკრები მიიჩნევა, რომელმაც ყველა მეტოქეს მოუგო, მათ შორის, შვედებს, მაგრამ დამაფიქრებელია გუნდის ლიდერის ოვეჩკინის უჩვეულოდ სუსტი თამაში.

არანაკლებ ამბიციურად გამოიყურებიან ჰოკეის სამშობლოს — კანადის წარმომადგენლები. „ნეკერჩხლის ფოთლები“ მასპინძელთა მსგავსად, ჯერჯერობით დაუმარცხებლად ასპარეზობენ, თუმცა ჩეხებთან წარმატების მისაღწევად დამატებითი დრო დასჭირდათ.

შვედეთი, ფინეთი, აშშ, ჩეხეთი, სლოვაკეთი — ეს ის ნაკრებებია, ცალკეული ჩავარდნების მიუხედავად, ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალას რომ წარმოადგენენ და ნებისმიერ შეხვედრაში შეუძლიათ გაბრწყინება. რაც შეეხება უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ მომძლავრებულ კერკეტ კაკალს — შვეიცარიას, ამ გუნდმა უკვე შეასრულა პროგრამა — მაქსიმუმი და „რვეულში“ დამკვიდრდა.

მეოთხედფინალში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: რუსეთი — ჩეხეთი, შვედეთი — სლოვაკეთი (დღეს), კანადა — შვეიცარია, აშშ — ფინეთი (ხვალ).

◎ ასეც ხდება

ძუნწი რონალდინიო

სწორედ რომ ძუნწის სახელი დაიმკვიდრა, არცთუ უმიზეზოდ, მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადმა ფეხბურთელმა, ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ნახევარმცველმა რონალდინიომ, რომლის შემოსავალი, ჟურნალ „ფორბსის“ ცნობით, 2006 წელს 29,5 მილიონი დოლარი იყო.

ბრაზილიელისავე სიტყვებით, მას ფული ჯიბეში არასდროს უდევს, რადგან ყველაფერს უფასოდ ღებულობს. ამაზე თავად ფეხბურთელმა ერთ-ერთ ბრაზილიურ ჟურნალს განუცხადა.

„სადაც გინდა, მივდიოდე, ყველგან მიმასპინძლდებიან, რესტორანში ფულის გადახდის დროს მეუბნებიან — „დაპატიჟებული ხართ დაწესებულების ხარჯზეო“. მაშინ ვწუხდები, რატომ მეტი არ ვჭამე-მეთქი, ერთ-ერთი, რაშიც ფულს ვიხდი, ესაა მანქანის გამართვა საკრედიტო ბარათით“.

ფეხბურთელმა ისიც დაამატა, რომ ზუსტად არ იცის, თუ რამდენს ღებულობს ყოველთვიურად.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე № 2/8501-06

განჩინება

2 მაისი 2007 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა გოგატიშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით მხარეთათვის სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხი:

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/10484-06 შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელის გამო ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. მოსარჩელე განმარტავს, რომ 2005 წლის 10 ივნისს შპს საქართველოს რკინიგზასა და ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილს შორის დადებული ხელშეკრულებით მოპასუხე ვალდებული იყო 1 ცალი 5-ტონიანი ჯოჯგინა ამწე მოეწოდებინა და დაემონტაჟებინა შპს საქართველოს რკინიგზისათვის. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 96.745 ლარს. მოპასუხეს ამწის დამონტაჟება უნდა განეხორციელებინა ხელშეკრულების დადებიდან 12 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების მე-8.3.2. პუნქტის მიხედვით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს მყიდველს სახელშეკრულებო თანხის 7%. მოსარჩელის განმარტებით მოპასუხემ არ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება, კერძოდ, მართალია ამწე მიაწოდა, მაგრამ იგი არ დაამონტაჟა, არ განახორციელა მისი ექსპლოატაციაში გაშვება და სათანადო რეგისტრაცია.

მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეს დაეკისროს პირგასამტეხლოს 6773 ლარისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 170 ლარის გადახდა.

სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხეს სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეს ვერ ჩაბარდა მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე (თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 9) გაგზავნილი სასამართლო უწყებები. ფოსტის დამტარებლის მიერ აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მისამართზე გავაშელაშვილი არ ცხოვრობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ასეთ შემთხვევაში საჯარო შეტყობინება უნდა გაიკრას სასამართლოს განცხადებების დაფაზე და შეიცავდეს დოკუმენტების ძირითად მონაცემებზე მითითებას, რომლებსაც უნდა გაეცნოს მოპასუხე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლოს განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსარჩელე საკუთარი ხარჯით განახორციელებდა საჯარო შეტყობინებას პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე და 414 მუხლებით და

დ ა დ გ ი ნ დ ა :

1. მოპასუხე ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილს საჯარო პუბლიკაციით ეცნობოს სასამართლოს მთავარი სხდომის დროისა და ადგილის შესახებ;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია **№ 2/10484-06 შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელის გამო ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე;**

წინამდებარე პუბლიკაციით მოპასუხე ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილს ატყობინებს შემდეგს:

3. **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე № 2/10484-06 შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელის გამო ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე;**

4. მხარეებს ეცნობოთ შემდეგი:

5. **სამოქალაქო საქმეზე** საქმე № 2/10484-06 შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელის გამო ინდმეწარმე ლადო გავაშელაშვილის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, **სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2007 წლის 12 ივნისს 10.00 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №1, მე-3 დარბაზი;**

- **თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.** თუ სარჩელში **მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.**
- **თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები; გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე;**
- **მხარეები ვალდებულნი არიან, სასამართლოს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ;**
- **საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განაცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შუამდგომლობისა და განაცხადების წარმოდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.**

6. განჩინება არ საჩივრდება.

მოსარჩელე დ. გოგატიშვილი

ხსოვნა

იუზა ლორია

საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის წინა თაობის რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი და მეგობარი **იუზა ლორია.**

ამ სითბოთი და გულისხმიერებით სავსე ადამიანის წასვლა ამქვეყნიური ცხოვრებიდან დიდი დანაკლისია მისი სამეგობრო წრისათვის.

იუზა ლორიამ ღირსეულად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნისა და ოჯახის წინაშე.

კავშირგაბმულობის სასტემაში ოცდაათწლიანი მოღვაწეობის პერიოდში სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა თანამდებობაზე — რიგითი თანამშრომლიდან მაშინდელი კავშირგაბმულობის სამინისტროს პასუხსაგები სამმართველოების უფროსობამდე — დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და პროფესიონალიზმით ასრულებდა თავის მოვალეობებს, იმსახურებდა ყურადღებას, როგორც დარგის ხელმძღვანელთა, ასევე სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან, რისთვისაც დაჯილდოებული იყო ღირსებით ორდენით.

ჰქონდა მუშაობის თავისებური კოლეგიური სტილი, რის გამოც ყველას ახალგაზრდას და ხანდაზმულს ერთნაირად უადვილდებოდა მასთან საქმიანი ურთიერთობა. ამიტომაც თბილი, სიყვარულით და პატივისცემით სავსე მოგონებები დატოვა ყველა თაობის კოლეგებში.

ბატონი იუზა იყო ღირსეული ოჯახის პატრონი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჩვენ მის უახლოეს სამეგობროს დაგვიტოვა საოცრად დიდი ტკივილი და მწუხარება და უდიდესი სითბოთი, სიყვარულით, რწმენითა და იმედით სავსე მოგონებები ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობებისა და შეხვედრების მოსაგონებლად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, მამია სულაბერიძე, რემი გველესიანი, თემურ ლოლობერიძე, ვახტანგ თოდუა, ბორის ბოჭორიშვილი, ნოდარ ჯიძია, თემურ სამადალაშვილი.

ეთერ რუხაძე

გარდაიცვალა სს „აკ. კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სკ ინსტიტუტის“ ყოფილი თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ექიმი მეან-გინეკოლოგი **ეთერ შალვას ასული რუხაძე.**

1949 წელს სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ეთერ რუხაძე მუშაობდა ქ. სოხუმის სამშობიარო სახლში, 1952 წლიდან მუშაობდა ინსტიტუტში ექიმ მეან-გინეკოლოგად.

ეთერ რუხაძე თავდადებით ემსახურებოდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, ისე უწევდა დახმარებას საქართველოს სხვადასხვა რაიონს როგორც კადრების მომზადებაში, ასევე მეთოდურ-ორგანიზაციული და პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში. ეთერ რუხაძე იყო პროფესიონალი ექიმი, კარგი მეგობარი. მან უმწიკვლოდ განვლო ცხოვრების რთული გზა.

ქალბატონ ეთერის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების და ახლობლების გულში.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ვახტანგ ცხადაძეს მამის

სერგო ანთიმოზის ძე ცხადაძის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილი ირინა ღლონტი ოჯახით თანაუგრძნობს ლუიზა ღლონტს და მის ქალიშვილს მაია ცხვარიაშვილს მეუღლის და მამის, უკუთილშობილესი პიროვნების, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის

ლადო ცხვარიაშვილის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. თბილისი, ვაზისუბანი, III მიკრორაიონი, II კვარტალი, IX კორპუსი, V სადარბაზო, დაკრძალვა 10 V, 14 სთ. გამოსვენება ფერისცვალების ეკლესიიდან (დარეჯანის სასახლესთან).

მეგობრები ნოდარ მიხაილოვი, გურამ გველესიანი, თამაზ ხომერიკი, ოთარ (რიჩა) გაგუა, ლუკა ხუნდაძე, ვახტანგ მგელაძე, ლევან ოჟილაური, გივი ანჩაბაძე, გია ფირცხალავა, გივი მჟავანაძე, შალვა კვინტრაძე, ვალოდია ოდიშვილი, ზაურ გომართელი, გივი სანაძე, ნიკა ჩერქეზიშვილი, ირაკლი ელიავა, გურამ ნოზაძე, ნოდარ ბერეკაშვილი, მიშა ქავთარია, კოხტა ჯაფარიძე იუწყებიან

გიორგი (დოდიკა) მოისწრაფიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

და მარიკა მოისწრაფიშვილი, მამიდაშვილი გივი ფანცულაია, ბიძაშვილები ვოვა, ერიკო მოისწრაფიშვილები ოჯახებით, დეიდაშვილის შვილები ნანა, თინიკო მიქაძეები, მანანა, ნანი, გია ვეკუები, მამიდაშვილის შვილები რუსუდან, თეიმურაზ ფანცულაიები ოჯახებით, რძლები ეთერ გუგუშვილი, ნუნუ ქიქოძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (დოდიკა) გრიგოლის ძე მოისწრაფიშვილი

პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. დაკრძალვა 10 V, 15 სთ. ქავთარაძის ქ. №24.

შვილები ვალერი, ვახტანგ, ნანა ლომაძეები, რძლები ნანა ხუნდაძე, რუსიკო ტორონჯაძე, შვილიშვილები პაატა, ზურა, ივიკო, ნინო, თინა ცომაია, ნინი გორგოძე, კახა მაჭარაშვილი, შვილთაშვილები ელენე, ზუკა, ანასტასია, გიორგი, მძახალი ლედი მიქაძე იუწყებიან

ელენე (ლენა) გრიგოლის ასულ აგლაძე-ლომაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 V, 17 სთ. გამოსვენება 12 V, 15 სთ. მისამართი: ა. წერეთლის პრ. №12 (I სადარბაზო).

შვილები გაიოზ, თეიმურაზ ბუხნიკაშვილები, რძლები მეგი ებანოიძე, მანანა ლომიძე, შვილიშვილები მაია, თამილა, ეთერი, პაატა და შვილთაშვილები, მული ცაგო ბუხნიკაშვილი იუწყებიან

ნადეჟდა ვლასის ასულ ნიორაძე-ბუხნიკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში, 10 V, 14 სთ. მაჭავარიანის ქ. №7.

● რუსეთის პირველი პრეზიდენტი ჯერ დაკრძალულიც არ იყო, რომ ცნობილმა სკულპტორმა ზურაბ წერეთელმა იმისი ძეგლის შექმნის სურვილი გამოთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◉ ჩვენი მტერ-მოყვარენი

კვიცი გვარზე ხტის...

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ მოსკოვში თავისი ახალი წიგნის „მამაჩემის" პრეზენტაცია გამართა.

„არასდროს არ მინახიხარ, არასდროს შენი ხმა არ მსმენია, ყოველთვის მენატრებოდი, 60 წელი გეძებდი მთელს ქვეყნიერებაზე. როგორც იქნა, უცხო ქვეყანაში მოვნახე შენი საფლავი, მშობლიური ნაპირებიდან შორს", – ასეთი ეპიგრაფი წაუმძღვარა ნაშრომს.

მშობლის სამუდამო განსასვენებელს ვლადიმერ ვოლფის ძემ შარშან მიაგნო ისრაელში... ლდპ-ს ლიდერის მამა პოლონელ-უკრაინელი ებრაელი ყოფილა, 1907-ში დაბადებული ვოლფ ეიდელშტეინი. დედა, ალექსანდრა პავლეს ასული მაკაროვა კი სუფთა რუსი გახლდათ.

ვიცე-სპიკერის მშობლები ერთმანეთს ომის წლებში შეხვედრიან ალმა-ათაში. ვოლფი იცნობდა ალექსანდრას პირველ ქმარს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ოფიცერს ანდრეი ჟირინოვსკის, რომელიც 1944 წელს ჭლექმა იმსხვერპლა. ერთი წლის შემდეგ ვოლფმა ხუთშვილიანი ალექსანდრა ჟირინოვსკაია ცოლად შეირთო, თუმცა რამდენიმე თვეში, ჯერ კიდევ ვაჟის, ვლადიმერის დაბადებამდე გაემგზავრა ვარშავაში, იქიდან კი ისრაელში, სადაც 1983 წელს გარდაიცვალა – ავტობუსი დაეჯახა. ამრიგად, ქართველთა ცნობილი „მეგობრის" პორტრეტი ასეც წარმოგიდგება: **დედით ნაღდი რუსი, მამით ებრაელი, ენა-პირით მჭევრი, ჭკუით არცთუ შტერი, დუმის მტკიცე ვიცე, ლდპ-ს შეფი, „შეთავსებით", კიდევ – საქართველოს მტერი...**

ლუკა გორგაძე

2007 წლის 30 მაისს, 12 სთ-ზე გაიმართება სს „დიდუბის წისქვილქარხნის" აქციონერთა კრება მისამართზე: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ. №12.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების 2006 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტორის არჩევა;
3. სხვადასხვა.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 25 მაისი.

აქციონერებს კრებაზე თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე შპს „ეროვნულ რეესტრთან". მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74, IX სართ. ტელ: 29-20-03.

სამეთვალყურეო საბჭო

◉ ჩვენებურზე

ზურაბ წერეთელი უკვე „მზადყოფნაშია"

რუსეთის პირველი პრეზიდენტი ჯერ დაკრძალულიც არ იყო, რომ ცნობილმა სკულპტორმა ზურაბ წერეთელმა იმისი ძეგლის შექმნის სურვილი გამოთქვა. არავითარი ოფიციალური შეკვეთა არ ყოფილა, ასე რომ, ძეგლი ხელოვანის პირადი განზრახვაა.

ქვეყნის სამხატვრო აკადემიაში ამბობენ, რომ ახლა მოქანდაკე დანაკარგის ტკივილს განიცდის და უცნობია, თუ სახელდობრ როდის შეუდგება მუშაობას. განუცხადებია კი, რომ ბორის ელცინს „ძლიერი მეფის" სახით ხედავს, რომლის ხმაც, სიარულიც ძეგლში უნდა აისახოს.

გავიხსენოთ, რომ სწორედ პირველმა პრეზიდენტმა უბოძა ზურაბ წერეთელს სახელოსნოდ მოსახმარი შენობა ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე. არაერთი მასშტაბური პროექტი პირადად ბორის ელცინთან იყო შეთანხმებული, მაგალითად, ქრისტე მაცხოვრის ტაძრის განახლება, მდინარე მოსკოვზე პეტრე I ძეგლის აღმართვა...

რუსული პრესის მიხედვით

◉ ინფორმაცია

ას-ასი ლარი – ომის ვეტერანებს

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით საქართველოში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილეს 100-100 ლარი გადაეცემა.

პრესსამსახურის განმარტებით, მათი რაოდენობა 10 500 ადამიანს შეადგენს, თანხა კი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა.

გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს – 7500 ოჯახს – 50-50 ლარი გადაეცემა.

„ავერსის" საჩუქარი

9 მაისთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილეს 8-დან 11 მაისის ჩათვლით საშუალება მიეცემა, „ავერსის" აფთიაქებში უფასოდ მიიღოს „ავერსი-რაციონალის" მიერ წარმოებული მედიკამენტები.

ამის შესახებ კომპანიიდან იტყობინებიან. მათივე ინფორმაციით, საუბარია შემდეგ მედიკამენტებზე: ანბერი, დიკლოფეროლი, ენტენორმი, ეფექტი ფლუ, კორსიზი და ცენტროვიტი.

ინტერპრესნიუსი

მერაბიშვილს კრიმინალურ გარიგებაში ადანაშაულებენ

რესპუბლიკელი მურმან დუმბაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კრიმინალურ გარიგებაში ადანაშაულებს.

როგორც დუმბაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელვაჩაურის რაიონის ახალისოფლის მეცხოველეობის კომპლექსი, 15 000 კვ.მ მიწის ფართობთან ერთად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ვინმე შპს „ქართუტექსს" დაუკანონა. მისივე თქმით, მყიდველმა 1 კვ.მ-ში 2 ამერიკული დოლარი გადაიხადა.

მისივე მტკიცებით, მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ ამ კომპანიის უკან დგას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

დუმბაძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილია იმ ფარმაცევტული ქარხნის მფლობელიც, რომელიც რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჭარაში პომპეზურად გახსნა.

ინტერპრესნიუსი

◉ დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2007 წლის 27 აპრილის ნომერში (გვ. 12) გამოქვეყნდა განჩინება შპს „ვარციხეჰესების კასკადის" გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, სადაც გაპარულია შეცდომა და სს „ვარციხეჰესების კასკადი" ყველგან უნდა იკითხებოდეს, როგორც შპს „ვარციხეჰესების კასკადი".

◉ კადრი

გივი ვახტანგაძის ფოტო

◉ ანეკდოტები

მონები იმდენხანს იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი მონები გახდნენ.

* * *

არქიმედე ალბათ შიშველი დადიოდა, თორემ სხვაგვარად ქანქარას როგორ გამოიგონებდა.

* * *

ბენზინზე ფასების მორიგი ზრდა გამოიწვია იმან, რომ ბენზინზე ფასების ბოლო გაზრდის გამო მკვეთრად გაიზარდა ბენზინის გადაზიდვის ღირებულება.

* * *

– **მიხო**, შენზე ამბობენ, მაგარი მონადირე ძაღლი ჰყავსო!

– მაგარია და თანაც როგორი, რა გარეულ ფრინველსაც უნდა მოარტყა, მოგიტანს. რომც არ მოარტყა, მაინც მოგიტანს...

– ვაჰ, რა მაგარია, ვერ მათხოვებ ორი დღით?

– კი, კაცო! ოღონდ ის მითხარი, თაგვები, ბაყაყები და მისთანები გიყვარს?

– არა, კაცო, რას ამბობ!

– მაშინ უკეთ დაუმიზნე და ზუსტად ისროლე...

* * *

აეროპორტის გვერდით ვცხოვრობ. ყოველ წუთში თითო თვითმფრინავი მაინც ჯდება ან მიფრინავს აქედან.

ჰოდა, რა ჯანდაბად მინდა უხმაურო სარეცხის მანქანა?

* * *

რაც უფრო მეტი ფული აქვს მამაკაცს, მით უფრო ჭირვეულები არიან მისი ქალები.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 მაისს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაცხოვარში".
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიშვილის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ძიზიძის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.